დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ თბილისის N168 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: სახელი, გვარი ციალა გაგნიძე.

წევრები:

- სოფიკო ანთაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
- რომანი გაბუნია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
- მარინა ტარუღიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
- მარიამ კუჭუხიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
- ნატო შაინიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
- თინათინ ლაზარაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
- სოფიო თავაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
- ნანი სალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
- მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
- ხათუნა ბენდელიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ თბილისის N168 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	208142703

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	საქნავთის დასახლება
საფოსტო ინდექსი	0190
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სსიპ ქალაქ თბილისის N168 საჯარო სკოლა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi168@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	2407086

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	№ - MES 6 26 0000186125; 19.02.2026 წელი.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 26-27 მარტი.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	თბილისი, საქნავთის დასახლება. ერთი ძირითადი შენობა-ნაგებობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	თბილისი, საქნავთის დასახლება. ერთი ძირითადი შენობა-ნაგებობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	თბილისი, საქნავთის დასახლება. ერთი ძირითადი შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სკოლაში ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გამოავლინა სრული მზაობა ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით. ავტორიზაციის გუნდს სკოლასთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, სკოლის მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა ჰქონდა, რომ სამუშაო პროცესი წარმართულიყო საქმეზე ორიენტირებულ გარემოში ბრძანების შესაბამისად განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით ჯგუფის სხვა წევრებმა შეფასების პროცესი განახორციელეს დისტანციურად

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რამდენჯერმე განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა განახორციელეს შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან და მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან, დაათვალიერეს მატერიალური რესურსი და შეაფასეს დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობა. საგნის ექსპერტები დისტანციურად გაესაუბრნენ, თავიანთი საგნის ფარგლებში, კათედრის ხელმძღვანელებს და შესაბამის მასწავლებლებს. სკოლა შეფასებულია როგორც სტანდარტებთან შესაბამისი და აქვს განვითარების მკაფიო ხედვა და მექანიზმები. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ეფუძნება კომპლექსურ მიდგომას, რომელიც მოიცავს დაწესებულების ფუნქციონირების ყველა საკვანძო ასპექტს. შეფასების პროცესმა აჩვენა, რომ სკოლა ორიენტირებულია განვითარებაზე, რაც აისახება მის სტრატეგიულ დაგეგმარებასა და სასკოლო საზოგადოების მაღალ ჩართულობაში. დაწესებულებას ჰყავს კვალიფიციური პერსონალი და უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებულ, მხარდაჭერით გარემოს, მათ შორის ინკლუზიური განათლების მიმართულებით.

თუმცა, შეფასებისას გამოიკვეთა გარკვეული გამოწვევები უსაფრთხო გარემოსა და ინფრასტრუქტურის სტანდარტთან მიმართებით. კერძოდ, ხაზგასმულია შენობის მდგომარეობის/მდგრადობასთან, სახანძრო უსაფრთხოებასა და ექსპლუატაციის დასკვნებთან, ასევე შენობის უსაფრთხოებისა და შიდა პანდუსის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიასთან დაკავშირებული საკითხები და ამავე საგნობრივი კურკულუმის შინაარსობრივი ზოგიერთი საკითხი, რომელიც დასკვნაში უფრო ფართოდაა გაშლილი. სკოლისთვის გაცემული რჩევები მიზნად ისახავს ამ ხარვეზების აღმოფხვრასა და საგანმანათლებლო გარემოს სრულყოფას.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 800	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

ინდიკატორი N 3.4.1.1	**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**	არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, შესაბამისობის გეგმით (26.04.2026-26.04.2027) სკოლის მიერ წარმოდგენილი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით (N5002200426, 15.04.2026), დაწესებულების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს სტანდარტით განსაზღვრულ სტაბილურად უსაფრთხო გარემოს. მიუხედავად იმისა, რომ დასკვნაში შენობის ექსპლუატაცია მიჩნეული „უსაფრთხოდ ამ ეტაპისთვის “, დოკუმენტში იკვეთება შეუსაბამობები ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან, ინდიკატორი არ არის შესაბამისობაში.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმის (26.04.2026 – 26..04.2027) ფარგლებში, შენობა-ნაგებობა სრულ შესაბამისობაში მოიყვანოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან და ტექნიკურ რეგლამენტებთან. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის ფარგლებში (26.04.2026-26.04.2027) უზრუნველყოს გარე პერიმეტრის (ღობის) მთლიანობა,

[1] გარდ მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლ ინკლუზიურ გარემოს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის ფარგელბში (26.04.2026-26.04.2027) შექმნას ინკლუზიური სასწავლო გარემო და მოაწყოს შიდა პანდუსი.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N... 3.4.1.1	**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**	სკოლაში შრომის უსაფრთხოების მექანიზმების კიდევ უფრო გაუმჯობესების, რისკების ეფექტიანი პრევენციისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს მუდმივი მონიტორინგის მიზნით, **სასურველია**, სკოლამ განიხილოს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტის აყვანა.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*

ინდიკატორი N. 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** უმჯობესია, კურიკულუმში იყოს მითითებული თემიდან გამომდინარე დამატებითი რესურსები და შესაბამისი ბმულები. ბმულების უმეტესობა არ იხსნება, შესაბამისად იკარგება მისი მიზნობრიობაც („ისტორია“, VII კლასი, „მე და საზოგადოება“ III, IV კლასი, „ჩვენი საქართველო“ V კლასი), გაუმჯობესდეს კურიკულუმის სტრუქტურა, რათა ჩანდეს მიმართებები (სამიზნე ცნება, საკითხი, რესურსები). სასურველია ამ მიმართულებით უფრო კოორდინირებული თანამშრომლობა კათედრის წევრებს შორის. **სპორტი** სამომავლოდ სასურველი იქნება, რომ ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩ იყოს ერთნაირი, შეთანხმებული დიზაინით (**დაწყებითი საფეხური)**
2.1.2.2.	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**ესთეტიკა** მესამე და მეოთხე კლასში აკლია სავალდებულო თემტური ბლოკები, მოხდეს მისი გასწორება სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად და ჩამატება კურიკულუმში. მაგალითად: თემატური ბლოკები: მე და გარესამყარო, ადამიანები და ხელოვნება, ხელოვნება ჩვენ გარშემო. • მეოთხე კლასში კურიკულუმის მესამე თავში ორჯერ მეორდება თემები და ყველა მისი სტრუქტურული ერთეული, მოხდეს მისი გასწორება. • მეექვსე კლასის კურიკულუმში ყველა თემა გამოიყოს შესაბამისი ფორმით ჰორიზონტალური ხაზით ერთმანეთისაგან, რთა

		მოხდეს სამიზნე ცნებების, საკითხების, რესურსებისა და შემოქმედებითი ტიპის დავალებების ერთმანეთისაგან გამიჯნვა. **უცხო ენა** სასურველია კათედრაზე შემუშავებული იყოს ერთი კურიკულუმის ჩარჩო, რომელიც გამოყენებული იქნება სამივე ენის მიერ (ინგლისური, რუსული, გერმანული) **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** რჩევა ეძლევა: მე-7 კლასის ფიზიკის კურიკულუმში მეორე თემის **„თანაბარი და არათანაბარი მოძრაობა“** სამიზნე ცნებებიდან ამოღებული იქნას სამიზნე ცნება **„ენერგია და ურთერთქმედება“** მე=8 კლასის ფიზიკის კურიკულუმში პირველი თემის **„მექანიკური მოვლენები“** სამიზნე ცნებებიდან ამოღებული იქნას სამიზნე ცნება **„ მატერია“** მე-9 კლასის ფიზიკის კურიკულუმში პირველი თემის **„არათანაბარი და მრუდწირული მოძრაობა“** სამიზნე ცნებებიდან ამოღებული იქნას სამიზნე ცნება **„ენერგია და ურთერთქმედება“** მეორე თემის **„სტატიკა და დინამიკა“** სამიზნე ცნებებიდან ამოღებული იქნას სამიზნე ცნება **„მატერია“**.
2.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიე კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	**უცხო ენა** სასურველია, რესურსების ჩამონათვალი მიეთითოს შესაბამისი რესურსების სვეტის ქვეშ. **დაწყებითი** სასურველია,სკოლის დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების ყველა კურიკულუმში, სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის

		შედეგებიდან გამომდინარე მკაფიოდ ასახონ მარტივი რეალური ან/და ვიდეო ან/და ვირტუალური ექსპერიმენტები ან/და ცდები, განისაზღროს დასახელება, მისი მათი სახეობა (მაგალითად, ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო, საშინაო) და ნუმერაცია.
2.1.2.4	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, კურიკულუმის განხორციელების დროს ჩანდეს, საკლასო მუშაობისას როგორ ხდება საგაკვეთილო პროცესში შინაარსისა და დროის დიფერენცირება. **დაწყებითი** **დაწყებითი საფეხურის** ,I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება)საგნების **შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნების დავალებების პირობების შექმნისას მკაფიოდ გამოკვეთონ დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები.**
2.1.2.5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** უმჯობესია, განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასების რუბრიკებს ყოველთვის ახლდეს თემის, საკითხის და ცნების დასახელება. სასურველია, განმსაზღვრელი რუბრიკის კრიტერიუმებში ჩანდეს თემის ფარგლებში მიღწევის ინდიკატორის შესაბამისობა საგნობრივ ცნებასთან. **სპორტი** სამომავლოდ სასურველი იქნება შეფასების რუბრიკები შეიქმნას, კურიკულუმით გაწერილი სხვა თემების მიხედვითაც. (სამივე საფეხურითვის). **დაწყებითი** სასურველია, დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების სახელმწიფო ენა,მათემატიკა,ბუნებისმეტყველების სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე, სრულად მოამზადონ დაწყებითი საფეხურის შერჩეული თემების ან/და

		საკითხების/ქვესაკითხების მიმართებით, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; შეიქმნას შემაჯამებელი დავალებების შეფასების სქემა, სადაც შეფასების კრიტერიუმები, ორიენტირებული იქნება სამიზნე ცნებებზე.
2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.**	**უცხო ენა** სასურველია, კათედრამ მოახდინოს რუბრიკების დეტალიზაცია, რაც განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება პირდაპირ და მკაფიო ეფუძნებოდეს კონკრეტულ სამიზნე ცნებებსა და თემის მისაღწევ შედეგებ
2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.**	**უცხო ენა** სასურველია, კათედრამ მოახდინოს რუბრიკების დეტალიზაცია, რაც განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება პირდაპირ და მკაფიო ეფუძნებოდეს კონკრეტულ სამიზნე ცნებებსა და თემის მისაღწევ შედეგებ
2.2.1.4	**სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.**	სასურველია„შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის“ დოკუმენტში სრულყოფილების მიზნით გაჩნდეს ჩანაწერი/მუხლი ვერიფიკაციის დასკვნის შესახებ, სადაც გაწერილი იქნება უნიფიცირებული (ერთიანი) დასკვნის ფორმა (დანართის სახით), ფორმაში მითითებული იქნება დოკუმენტის სათაური, რომელი საგნის და კლასის ვერიფიკაცია განხორციელდება, ვერიფიკატორების სახელები, გვარები და სხვა ინფორმაცია, ამის გარდა ამავე მუხლში უნდა იყოს ჩანაწერი იმის თაობაზე, თუ რა პროცედურები ხორციელდება იმ შემთხვევაში, როცა ვერიფიკაციის გადაწყვეტილება იქნება ნაწილობრივი ან შეუსაბამო, ვის დაევალება საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენა, ანგარიშგება რეკომენდაციების შესრულების შესახებ, მისი შესრულების მონიტორინგი. სასურველია, ვერიფიკაციის პროცესში ჩართული იყოს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის წამომადგენელი .
2.2.2.1	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**დაწყებითი** სასურველია,დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები შეივსოს მრავალფეროვანი დამატებითი რესურსებით, მაგალითად, კონკრეტული

		ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები, საგანმანათლებლო პლატფორმის სიმულაციები, მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსები და სხვა, აგრეთვე, განიხილონ რესურსების ბიბლიოგრაფიული გაფორმების ერთიანი მიდგომა.
2.2.2.2	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლ რესურსის ვალიდაციას**	**დაწყებითი** სასურველია,სკოლამ ან კათედრამ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შეიმუშაოს უკუკავშირის მექანიზმი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისგან დამატებითი რესურსების გამოყენების შესახებ, რათა მოხდეს პრობლემის დროულად იდენტიფიცირება და გაუმჯობესება.
2.3.1.1	**მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**	სასურველია, სკოლამ „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში მონიტორინგისა და შეფასების პროცესი უფრო დაზუსტებით წარმოადგინოს.
2.4.1.2	**კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**	სასურველია, სკოლამ „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში“ უფრო მკაფიოდ წარმოაჩინოს სასკოლო საზოგადოების წევრების მაგალითზე (მაგ.: მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი,ადმინისტრაცია) როგორ ხდება კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება.
2.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** გასათვალისწინებელია, რომ კურიკულუმში აისახოს სტანდარტით განსაზღვრულ ყველა თემაში ყველა ცნების დამუშავება (

		,,მოქალაქეობა“, IX კლასი, არ მუშავდება ცნება ,,სამოქალაქო მონაწილეობა’). **სპორტი** **რჩევა:** სამომავლოდ სასურველი იქნებოდა, რომ სასკოლო კურიკულუმის შედგენისას პედგოგებმა თავი შეიკავონ სასწავლო პროცესში იმ სასწავლო თემის შეტანისაგან, რომლის განხორციელებაც შესაძლოა გაუჭირდეთ ამ ეტაპზე სათანადო ინვენტარის არ ქონის გამო. მაგალითად სპეციალური მაგიდა მაგიდის ჩოგბურთისათვის.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *ზოგადი განათლების საგაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსური დავალების იდეა იყოს კონკრეტული. მაგალითად, ,,არგუმენტირებული ესეს დაწერა პირველ ჯვაროსნული ლაშქრობის შესახებ“ (,,ისტორია“, მე-8, 9 კლასი, ,,მოქალაქეობა“, მე-7 კლასი). მნიშვნელოვანია, რომ კომპლექსური დავალების იდეა იყოს კონკრეტული. მაგალითად, სტატიის დაწერა სახელწოდებით ,,როგორ ავირიდოთ კონფლიქტები“ (,,მოქალაქეობა“, მე-7 კლასი). **უცხო ენა** სასურველია, კათედრაზე შემუშავებული იყოს ერთი კურიკულუმის ჩარჩო, რომელიც გამოყენებული იქნება სამივე ენის მიერ (ინგლისური, რუსული, გერმანული) ესთეტიკა

		რჩევა: გასწორდეს მეცხრე კლასის ხელოვნების კურიკულუმი ისე როგორც მეშვიდე და მერვე კლასებშია
2.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიე კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** უმჯობესია, კურიკულუმში მითითებული იყოს ყველა საკითხის შესაბამისი რესურსი, მკაფიოდ აღინიშნოს, რომელი რესურსები და რა ფორმით გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში, რათა უკეთ შეფასდეს მათი შესაბამისობა და ეფექტიანობა სწავლის შედეგების მიღწევაში. ძირითად სასწავლო რესურსად მიეთითოს გრიფირებული სახელმძღვანელო (გამომცემლობა, გვერდები),) („მოქალაქეობა“ მე-10 კლასი, „გეოგრაფია“, მე-9, მე-11 კლასი). დამხმარე ინტერნეტრესურსების გამოყენების დროს საჭიროა, მიეთითოს შესაბამისი ბმული(„ისტორია“ მე-8 კლასი), ინტერნეტრესურსების მითითების დროს გასათვალისწინებელია, რომ ეწეროს რესურსის სახელწოდება ან გაკეთდეს ჰიპერბმული, რომ უფრო მოსახერხებელი იყოს მასზე დაწკაპუნებით ბმულის გახსნა („ისტორია“, მე-10 კლასი, „მე და საზოგადოება“, მე-3, მე-4 კლასი, „ჩვენი საქართველო“, მე-5 კლასი, „გეოგრაფია“ მე-8, მე-11 კლასი). რესურსების სვეტში არ უნდა იყოს შემოქმედებითი დავალების იდეა და მისი განხორციელების ეტაპები („ისტორია“, მე-8 კლასი, მე-10 კლასი) **უცხო ენა:** **რჩევა:** რესურსების ჩამონათვალი მიუთითეთ შესაბამისი რესურსების სვეტის ქვეშ.

2.1.2.4	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.**	საზოგადოებრივი მეცნიერებები სასურველია, კურიკულუმის განხორციელების დროს ჩანდეს, საკლას მუშაობისას როგორ ხდება საგაკვეთილო პროცესში შინაარსისა და დროი დიფერენცირება.
2.1.2.5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	უმჯობესია, განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასების რუბრიკებს ყოველთვის ახლდეს თემის, საკითხის და ცნების დასახელება. სასურველია, განმსაზღვრელი რუბრიკის კრიტერიუმებში ჩანდეს თემის ფარგლებში მიღწევის ინდიკატორის შესაბამისობა საგნობრივ ცნებასთან. **სპორტი** სამომავლოდ სასურველი იქნება შეფასების რუბრიკები შეიქმნა კურიკულუმით გაწერილი სხვა თემების მიხედვითაც.
2.4.1.2	კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს	სასურველია, სკოლამ „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში უფრო მკაფიოდ წარმოაჩინოს სასკოლო საზოგადოების წევრების მაგალითზე (მაგ.: მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი,ადმინისტრაცია) როგორ ხდება კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება.
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების საშუალო საფეხური* *ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
2.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**სპორტი** **რჩევა:** სამომავლოდ სასურველი იქნებოდა, რომ სასკოლო კურიკულუმი შედგენისას პედაგოგებმა თავი შეიკავონ სასწავლო პროცესში იმ სასწავლ თემის შეტანისაგან, რომლის განხორციელებაც შესაძლოა გაუჭირდეთ

		ეტაპზე სათანადო ინვენტარის არ ქონის გამო. მაგალითად სპეციალურ მაგიდა მაგიდის ჩოგბურთისათვის.
2.1.2.2.	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**ესთეტიკა** გასწორდეს 11 კლასის ხელოვნების კურიკულუმი, მასში მხოლოდ ერთ თემაა სწორად შემოტანილი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისა კურიკულუმის ჩარჩოდ ნიმუშისთვის გამოყენებულია მეექვსე კლას ჩარჩო და ტექნიკური შეცდომის გამო მასში მეექვსე კლასის სასწავლ პროგრამაა ჩარჩენილი, ის არ პასუხობს სავალდებულო პროექტები სწავლების სტანდარტის მოთხოვნებს **უცხო ენა** **რჩევა:** სასურველია კათედრაზე შემუშავებული იყოს ერთი კურიკულუმ ჩარჩო, რომელიც გამოყენებული იქნება სამივე ენის მიერ (ინგლისურ რუსული, გერმანული)
2.1.2.4	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია კურიკულუმის განხორციელების დროს ჩანდეს, საკლას მუშაობისას როგორ ხდება საგაკვეთილო პროცესში შინაარსისა და დრო დიფერენცირება.
2.1.2.5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**სპორტი** **რჩევა:** სამომავლოდ სასურველი იქნება შეფასების რუბრიკები შეიქმნ კურიკულუმით გაწერილი სხვა თემების მიხედვითაც. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** უმჯობესია, განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასების რუბრიკებ ყოველთვის ახლდეს თემის, საკითხის და ცნების დასახელებ სასურველია, განმსაზღვრელი რუბრიკის კრიტერიუმებში ჩანდეს თემ ფარგლებში მიღწევის ინდიკატორის შესაბამისობა საგნობრივ ცნებასთან.
2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.**	**უცხო ენა** სასურველია კათედრამ მოახდინოს რუბრიკების დეტალიზაცია, რა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება პირდაპირ და მკაფიო ეფუძნებოდეს კონკრეტულ სამიზნე ცნებებსა და თემის მისაღწევ შედეგებ

2.4.1.2	კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.	სასურველია, სკოლამ „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში უფრო მკაფიოდ წარმოაჩინოს სასკოლო საზოგადოების წევრების მაგალითზე (მაგ.: მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი,ადმინისტრაცია) როგორ ხდება კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას შემდეგ ინდიკატორებთან მიმართებით:

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო დასკვნის პროექტში მითითებული ხარვეზების გასწორება. კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც ერთწლიანი ვადის ფარგლებში (26.04.2026 – 26.04.2027) უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. კერძოდ-

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მიმართვა შესაბამის უფლებამოსილ უწყებასთან, რომელიც მიზნად ისახავს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას. სკოლამ შეიმუშავა და წარადგინა

კონკრეტული შესაბამისობის გეგმა (პერიოდი: 26.04.2026 – 26.04.2027), რომლის ფარგლებშიც აღებული აქვს ვალდებულება, ინფრასტრუქტურა სრულ შესაბამისობაში მოიყვანოს მოქმედ სახანძრო უსაფრთხოების წესებსა და ტექნიკურ რეგლამენტებთან.

ამასთანავე, სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მოიცავს ვალდებულებას, დადგენილ ვადებში (26.04.2026-26.04.2027) განხორციელდეს გარე პერიმეტრის (ღობის) სრული რეაბილიტაცია მისი მთლიანობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოსა და ფიზიკური მისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, შესაბამისობის გეგმა (26.04.2026-26.04.2027) ითვალისწინებს შენობის შიდა სივრცეში პანდუსის მოწყობას, რაც უზრუნველყოფს სკოლის ინფრასტრუქტურის შესაბამისობას სტანდარტთან.

ინდიკატორი 3.5.1.4 —მეტწილად შესაბამისია.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვერ გაზიარდა სკოლის მიერ წარმოდგენილი პოზიცია შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნათან მიმართებით.სკოლამ წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა (N5002200426, 15.04.2026), რომელშიც ვკითხულობთ:

> სსიპ ქალაქ თბილისის N168 საჯარო სკოლის შენობის (საკადასტრო კოდი #01.19.14.001.005) ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. შენობის კონსტრუქციული სქემა არ შეესაბამება თანამედროვე სეისმურ სტანდარტებს. არსებული დაზიანებები ძირითადად II ხარისხისაა და გამოწვეულია ტექნიკური მოვლის არარსებობით. სკოლის გამოყენება ***<u>უსაფრთხოა ამ ეტაპზე,</u>*** თუმცა ***<u>საჭიროებს დაუყოვნებელ</u>*** გადაწყვეტილებებს რეაბილიტაციის სამუშაოებთან დაკავშირებით, გამოკვლევის ნაწილში ჩამოთვლილი ნაკლოვანებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით.

დაწესებულების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს სტანდარტით განსაზღვრულ სტაბილურად უსაფრთხო გარემოს. მიუხედავად იმისა, რომ დასკვნაში შენობის ექსპლუატაცია მიჩნეულია „უსაფრთხოდ ამ ეტაპისთვის “, დოკუმენტში იკვეთება შეუსაბამობები ავტორიზაციის ინდიკატორის მოთხოვნებთან, კერძოდ:

1. **მნიშვნელოვნად მოგვაჩნია ფორმულირება დასკვნაში „დაუყოვნებელი გადაწვეტილება“**
2. **„უსაფრთხოდ ამ ეტაპისთვის“ რა დროით განისაზღვრება;**

აქეედან გამომდინარე:

ინდიკატორი 3.4.1.1 არ არის შესაბამისობაში.

გარდა ამისა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია მეორე სტანდართან მიმართებით გაზიარებულია ექსპერტთა მიერ და შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი. კერძოდ, საბუნებისმეტყველო მიმართულების ექსპერტმა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით, ინდიკატორები 2.1.2.1, 2.1.2.2, 2.2.2.3, შეაფასა დადებითად შესაბამისად მეორე სტანდარტის სამივე საფეხურის პროგრამები სრულ შესაბამისობაშია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია და ხედვა ორიენტირებულია მოსწავლეზე, მის უსაფრთხოებაზე და ინოვაციური სასწავლო გარემოს შექმნაზე. დოკუმენტში მკაფიოდ არის იდენტიფიცირებული 21-ე საუკუნის კომპეტენციების განვითარების პრიორიტეტი, რაც პირდაპირ ეხმიანება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლა მიზნად ისახავს არა მხოლოდ აკადემიური ცოდნის გადაცემას, არამედ კონკურენტუნარიანი, გლობალური და ეროვნული ღირებულებების მქონე მოქალაქის აღზრდას, რომელიც მზად იქნება თანამედროვე გამოწვევებისთვის.

სკოლის მიერ განსაზღვრული მისია საფეხურებრივად (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) ლოგიკურ ჯაჭვს ქმნის და უზრუნველყოფს მოსწავლის ეტაპობრივ განვითარებას — საბაზისო წიგნიერებიდან სისტემურ აკადემიურ ცოდნამდე და პროფესიულ ორიენტაციამდე.

ამრიგად, სკოლის მისია და ხედვა წარმოადგენს თანმიმდევრულ, ღირებულებებზე დაფუძნებულ და ეროვნულ მიზნებთან შესაბამის სტრატეგიულ ჩარჩოს, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის სრულყოფილ პიროვნულ, აკადემიურ და მოქალაქეობრივ განვითარებაზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა მისიითა და ხედვით მკაფიოდ განსაზღვრავს საკუთარ როლს არა მხოლოდ როგორც აკადემიური ცოდნის გადამცემი დაწესებულება, არამედ როგორც მზრუნველი, უსაფრთხო, მოსწავლეზე ორიენტირებული და განვითარების მხარდამჭერი სოციო-კულტურული სივრცე. მისიის ფორმულირებაში პირდაპირ არის ხაზგასმული „მზრუნველი, უსაფრთხო, მოსწავლეზე ორიენტირებული და ინოვაციური სასწავლო გარემო “, ხედვაში კი სკოლის როლი განიხილება ისეთ მოდელად, სადაც თითოეულ მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა, აღმოაჩინოს საკუთარი პოტენციალი და განივითაროს „სწავლისადმი პოზიტიური მიდგომა მთელი ცხოვრების მანძილზე “, რაც პიროვნული ზრდისა და თვითრეალიზაციის

მიმართულების მკაფიო ინდიკატორია. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში, ჩანს რომ სკოლა საკუთარ თავს აღიქვამს სასკოლო საზოგადოების მთლიანობად, მასში გაწერილი მიზანი „მჭიდრო ურთიერთობები სკოლას, ოჯახსა და თემს შორის“, რათა მოსწავლე, ,,მუდმივად დაცულად გრძნობდეს თავს“ ადასტურებს, რომ უსაფრთხოება გააზრებულია არა მხოლოდ ფიზიკურ განზომილებაში, არამედ ემოციურ და სოციალურ უსაფრთხოებადაც (კუთვნილების განცდა, მხარდაჭერილი ურთიერთობები, კეთილდღეობა). ამას აძლიერებს ღირებულებების ნაწილში წარმოდგენილი აქცენტები: მრავალფეროვნება, თანასწორობა და ინკლუზია, კეთილსინდისიერება და ეთიკა, კეთილდღეობა და თვითზრუნვა, რაც ქმნის სკოლის კულტურულ-ღირებულებით ჩარჩოს და განსაზღვრავს ურთიერთობების სტანდარტს სასკოლო საზოგადოებაში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლის შემადგენელი ნაწილიცაა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები კანონმდებლობის შესაბამისად, შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსთან (ოქმი #5) რომელიც თავისი შემადგენლობით უკვე წარმოდგენილია სასკოლო საზოგადების ყველა წევრისგან. სამეურვეო საბჭოს ოქმში ჩანს, რომ სკოლამ შექმნა სამუშაო ჯგუფი, სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების გადახედვისა და შეთანხმებისთვის, სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისთვის ჩატარდა გამოკითხვა, კვლევის შედეგების გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტები, რაც დამტკიცდა შემდეგ პედაგოგიურ საბჭოზე (ოქმი#5). აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლის მისია, ხედვა ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლას აქვს 7 საგნობრივი კათედრა, რომელიც ჩართულია სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში და იზიარებს სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. სასკოლო სასწავლო გეგმა კი დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ (ოქმი#5). სკოლის მიერ წარმოდგენილი კითხვარების ნიმუშებში, რომელიც განკუთვნილია მოსწავლისთვის, ასევე მშობლისთვის შინაარსობრივად მოიცავს სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების შესახებ შეკითხვებს - უზრუნველყოფს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დამკვიდრებას სკოლაში გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ასევე სკოლის მიერ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული (ბრძ#2-01) სამუშაო ჯგუფი, რომელის შემადგენლობაშიც შედის, როგორც სკოლის მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, ასეევ მშობელი და მოსწავლე, რაც უზრუნველყოფს სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების გაზიარებას სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლაში შესვლისთანავე ვხვდებით სკოლის მისია, ხედვისა და ღირებულებებს სკოლის დერეფანში. ასევე სკოლას აქვს ვებ-გვერდი, სადაც გამოქვეყნებულია სკოლის შესახებ ინფორმაცია. მათ შორის სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები.

სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები ხელმისაწვდომია სკოლის შენობაში სასკოლო საზოგადებისა და სკოლაში შემომსვლელი პირებისთვის, ხოლო სხვა დაინტერესებული პირებისთვის სკოლის ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მის საქმიანობასა და კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერის N448 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სკოლის წესდების "მიხედვით, სკოლის სახელწოდებაა „სსიპ - ქალაქ თბილისის N168 საჯარო სკოლა "და სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი #5;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #5;
- სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება #2-01;
- კითხვარები;
- სკოლის ფილოსოფიის, მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი („სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“ ადასტურებს, რომ სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების მკაფიოდ ჩამოყალიბებული სისტემატიზაცია და ამ მეთოდოლოგიაში ინტეგრირებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები. დოკუმენტი გვიჩვენებს, რომ სტრატეგიული დაგეგმვა სკოლაში განიხილება არა როგორც ერთჯერადი ადმინისტრაციული პროდუქტი, არამედ როგორც თანამონაწილეობითი, ციკლური მმართველობითი პროცესი. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის განმსაზღვრელ პრინციპებში, სადაც მაგალითად ერთ-ერთ ძირითად პრინციპად პირდაპირ არის დასახელებული სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება. დოკუმენტი ამ პრინციპს არ ტოვებს დეკლარაციულ დონეზე და მას უკავშირებს კონკრეტულ მოქმედებებს: ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში საზოგადოების ჩართულობა/დოკუმენტების გაზიარება, ინფორმაციის შეგროვება და მიღებული უკუკავშირის გათვალისწინება. მეთოდოლოგიაში განსაზღვრული პროცესში ჩართულ მხარეები და პასუხისმგებლობები - მაგალითად, სამუშაო ჯგუფის შექმნა დირექტორის მიერ, სადაც წევრები ირჩევა სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისგან შემდეგ წარმოდგენილია ბრძანებითაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა სრულად შეესაბამება მოცემულ ინდიკატორს. გეგმა განსაზღვრულია შვიდწლიანი პერიოდით (2025–2032 წლები), რაც აკმაყოფილებს მოთხოვნას გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმვის შესახებ. ამასთანავე, დოკუმენტი მოიცავს სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, რომლებიც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და ქმნის ერთიან ფილოსოფიურ ჩარჩოს, რომელზეც აგებულია სტრატეგიული განვითარება. მისია, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეზე, უსაფრთხო და ინოვაციური გარემოს შექმნაზე, ასევე ხედვა, რომელიც უკავშირდება 21-ე საუკუნის კომპეტენციების განვითარებას, ლოგიკურად აისახება სტრატეგიულ მიმართულებებსა და მიზნებში. დოკუმენტში წარმოდგენილი სტრატეგიული მიმართულებები — მათ შორის სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და სხვა — შინაარსობრივად თანხვედრაშია მისია-ხედვასთან და უზრუნველყოფს მათ

პრაქტიკულ რეალიზაციას. სტატეგიულ გეგმაში თითოეული მიმართულება დაყოფილია შესაბამის ამოცანებად, რაც ადასტურებს მიზნებისა და ამოცანების სტრუქტურულ თანმიმდევრულობას. ამასთან, დოკუმენტი მიუთითებს, რომ სტრატეგიული გეგმის განხორციელება ეფუძნება შიდა და გარე ფაქტორების ანალიზს (SWOT) და ითვალისწინებს მისი პერიოდული გადახედვის შესაძლებლობას, რაც ციკლურობის პრინციპის არსებობაზე მიუთითებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის სამოქმედო გეგმა განსაზღვრულია ერთწლიანი პერიოდით (2025–2026) დოკუმენტის შესავალ ნაწილში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ იგი გამომდინარეობს სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან, ასევე სკოლის მისიიდან და სტრატეგიული მიზნებიდან, რაც ადასტურებს სტრატეგიულ დოკუმენტთან მის თანხვედრას. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. სკოლის მიერ წარმოდგენილი სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაშიც იკვეთება სტატეგიულ გეგმის ქმნის ის საფუძველი, რომელზეც ერთწლიანი სამოქმედო გეგმაა აგებული: მასში ჩამოყალიბებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, SWOT-ანალიზი, სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები. ამდენად, იკვეთება ერთწლიანი გეგმის შინაარსობრივი შესაბამისობა სტრატეგიულ გეგმასთან და სკოლის თვითშეფასებასთან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული მიზნები და ამოცანები თანმიმდევრულად არის გარდაქმნილი კონკრეტულ აქტივობებად. თითოეული სტრატეგიული მიმართულების ფარგლებში წარმოდგენილია დეტალურად გაწერილი აქტივობები, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის მოქნილად განხორციელებას და მიუთითებს გეგმარების სისტემურობაზე. დოკუმენტში განსაზღვრული შესრულების ინდიკატორები და მტკიცებულებების ფორმები (მაგალითად: კურიკულუმები, ოქმები, ანგარიშები, კითხვარების ანალიზი, მონიტორინგის შედეგები და ა.შ), რაც ქმნის შესრულების შეფასებისა და პროგრესის დაკვირვების შესაძლებლობას. შესრულების ვადები გაწერილია წლიური ციკლის ფარგლებში (თვეების მიხედვით), რაც უზრუნველყოფს პროცესის გეგმაზომიერ და რეალისტურ განაწილებას. ვადები, ძირითადად, შეესაბამება დაგეგმილი აქტივობების მოცულობასა და შინაარსს და არის რეალისტური. დოკუმენტში იდენტიფიცირებულია პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საგნობრივი კათედრები, მასწავლებლები, სხვადასხვა ჯგუფები და ა.შ.), რაც უზრუნველყოფს

ანგარიშვალდებულების განაწილებას და განხორციელების პროცესის მართვას. ასევე განსაზღვრულია საჭირო რესურსები (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური), რომლებიც შეესაბამება დაგეგმილ აქტივობებს და რეალისტურია.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის სტრატეგიული გეგმა;
- კითხვარები;
- სკოლის ფილოსოფიის, მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

   სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში იკვეთება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების სისტემური მიდგომა, რომელიც სრულად მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების ქმედით მექანიზმებს. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს მის პროცედურულ მხარეს, პასუხისმგებელ პირებსა და პერიოდულობას, მეთოდოლოგია ადგენს შეფასების კონკრეტულ კრიტერიუმებსა და სტატუსებს, მაგალითად „შესრულდა “, „ნაწილობრივ შესრულდა “, „არ შესრულდა “, რაც შეფასების პროცესს ხდის გაზომვადს და სტრუქტურირებულს. დოკუმენტს თან ერთვის სპეციალური მონიტორინგის ფორმა დანართი N1 -ის რომელიც ამარტივებს აქტივობების შესრულების ხარისხის მონიტორინგს. გარდა ამისა, განსაზღვრულია სტრატეგიული გეგმის შუალედური (3-წლიანი) და შემაჯამებელი (7-წლიანი) შეფასების ციკლები, რაც სკოლას აძლევს შესაძლებლობას, თვალი ადევნოს განვითარების დინამიკას გრძელვადიან პერსპექტივაში.

   ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი განხორციელდება სისტემურად, წინასწარ განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად. დადგენილია როგორც პასუხისმგებელი სუბიექტები (სამუშაო ჯგუფი, პასუხისმგებელი პირები), ასევე მონიტორინგის ფორმები — წერილობითი ანგარიშები, შედეგების ანალიზი და აქტივობების სტატუსების მინიჭება. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს შესრულების შეფასების სტრუქტურირებულ და თანმიმდევრულ პროცესს. დოკუმენტი ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობასაც, რომელიც გაწერილია ინფორმაციის შეგროვების ეტაპზე გამოკითხვების, ინტერვიუებისა და უკუკავშირის მიღების მექანიზმები, აგრეთვე დოკუმენტების განხილვა და გაზიარება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან. ანგარიშები საჯაროა და ხელმისაწვდომია, რაც ხელს უწყობს უკუკავშირის მიღების შესაძლებლობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში მკაფიოდ არის გაწერილი ანგარიშვალდებულების მექანიზმი, რომელიც ავალდებულებს სკოლის ადმინისტრაციას, გეგმების განხორციელების შედეგები გახადოს ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული მხარისთვის. საჯაროობის უზრუნველსაყოფად სკოლა იყენებს მრავალფეროვან საკომუნიკაციო არხებს, რაც ზრდის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხს. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ვებ-გვერდზე ანგარიშების გამოქვეყნების ვალდებულება, რაც წარმოადგენს საჯაროობის ერთ-ერთ ეფექტურ და თანამედროვე ფორმას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩანს რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია ანგარიშვალდებულების კულტურა და დანერგილია მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას სკოლის განვითარების შედეგების შესახებ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების სისტემა აგებულია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე “- ციკლის პრინციპზე. მეთოდოლოგია განსაზღვრავს, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგები არ არის მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები, არამედ ისინი წარმოადგენენ სკოლის შემდგომი განვითარების მთავარ ორიენტირს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სკოლა მოახდენს სამოქმედო გეგმის შესრულების ხარისხის ანალიზს და ამ ანალიზს გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის სტრატეგიული გეგმა;
- კითხვარები;
- სკოლის ფილოსოფიის, მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლამ წარმოადგინა-„თანამდებობრივი ინსტრუქციების“, „ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და მართვის მექანიზმების“ და „შინაგანაწესის“, რომლის საფუძველზეც ჩანს რომ სკოლის მართვის მოდელი ეფუძნება სტრუქტურას, სადაც განსაზღვრულია როგორც მმართველობითი (დირექცია, საბჭოები), ისე საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული რგოლების როლები. „თანამდებობრივი

ინსტრუქციები "დეტალურად აღწერს თითოეული პოზიციის ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს, რაც უზრუნველყოფს საქმიანობის სფეროების გამიჯვნას და პასუხისმგებლობების დუბლირების თავიდან აცილებას.

„ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმების დოკუმენტი კი აკონკრეტებს დირექტორისა და დირექტორის მოადგილის როლს პერსონალის საქმიანობის განაწილებაში, მონიტორინგსა და პროფესიული განვითარების პროცესში. ამგვარად, ფუნქციები არ რჩება მხოლოდ ფორმალურ აღწერად, არამედ დაკავშირებულია შეფასებისა და განვითარების სისტემასთან, რაც აძლიერებს მართვის ეფექტიანობას. შინაგანაწესი დამატებით უზრუნველყოფს ფუნქციების პრაქტიკულ განხორციელებას, რადგან იგი არეგულირებს სამუშაო რეჟიმს, ქცევით ნორმებსა და დისციპლინურ პასუხისმგებლობას. დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი სამუშაო დროის ორგანიზება, კომუნიკაციის წესები, ანგარიშვალდებულება და რეაგირების მექანიზმები დარღვევებზე, რაც პერსონალის ყოველდღიურ საქმიანობას კონკრეტულ ჩარჩოში აქცევს და ამით ფუნქციური განაწილება პრაქტიკაში რეალიზდება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სსიპ ქალაქ თბილისის №168 საჯარო სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობაზე, ხარისხსა და უსაფრთხოებაზე. დოკუმენტების ურთიერთკავშირი ადასტურებს, რომ სკოლის ფუნქციურად არის მორგებული სასწავლო მიზნების მიღწევას.

საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობის კუთხით, საკვანძო როლი ენიჭება ხარისხის მართვის მექანიზმებს. „თანამდებობრივი ინსტრუქციებით "განსაზღვრული მოადგილის ფუნქციები — სასწავლო გეგმის შემუშავება, გაკვეთილებზე დასწრება და პედაგოგიური პროცესის მონიტორინგი — პირდაპირ კავშირშია სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასთან. ამას ემატება „ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები ", სადაც დეტალურადაა გაწერილი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა, რაც საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის წინაპირობაა. საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებელ მიმდინარეობას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს „შინაგანაწესით "განსაზღვრული წესები. მაგალითად, სამუშაო დროის რეგულირება, მასწავლებელთა გამოცხადების დრო, მშობლებთან კომუნიკაციის დადგენილი საათები, რაც ქმნის ორგანიზებულ გარემოს, სადაც უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესისთვის ხელისშემშლელი ფაქტორების მინიმუმამდე დაყვანა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის სტრუქტურა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სსიპ ქალაქ თბილისის №168 საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის სისტემა სრულ შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კოდექსთან, „ზოგადი განათლების შესახებ: საქართველოს კანონსა და მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსთან. სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციები ქმნის სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა უფლებების დაცვასა და მათი საქმიანობის ობიექტურ მართვას. შინაგანაწესი დეტალურად განსაზღვრავს სამუშაო დროის ხანგრძლივობას, დასვენებისა და შესვენების დროს, რაც სრულად შეესაბამება შრომის კოდექსის მოთხოვნებს. დოკუმენტში გაწერილია შვებულების (ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე), ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების უფლებები, ხელფასის გაცემის ვადებისა და ფორმის შესახებ ინფორმაცია და სხვა. პროფესიული განვითარება და მოტივაცია: „ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმებში “ასახავს სკოლის სტრატეგიას პერსონალის ზრდისა და მხარდაჭერის კუთხით. დოკუმენტი ითვალისწინებს მასწავლებელთა პროფესიული უნარებისა და ცოდნის შეფასებას, რაც საფუძვლად უდევს მათ კარიერულ წინსვლას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სსიპ ქალაქ თბილისის N168 საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის სისტემა ეფუძნება ურთიერთდაკავშირებულ მარეგულირებელ დოკუმენტებს, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან საჭიროებებზე ორიენტირებულ, პრევენციულ და ინტერვენციულ მექანიზმებს. მაგალითად, საჭიროებაზე დაფუძნებული მიდგომა - სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძანება N2-20) და პროფესიული განვითარების მექანიზმები

(ბრძანება N2-06) პირდაპირ აკავშირებს თანამშრომელთა განვითარებას მათ ინდივიდუალურ საჭიროებებთან. საჭიროებების იდენტიფიცირება ხდება: SWOT ანალიზის, თვითშეფასების კითხვარების, საგაკვეთილო დაკვირვებებისა და მოსწავლეთა აკადემიური პროგრესის ანალიზის საფუძველზე. მნიშვნელოვანია, რომ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი (ბრძანება N1/კ-52) უზრუნველყოფს თითოეული მასწავლებლისთვის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რაც პერსონალის მართვას ხდის კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებულს. ხოლო **პ**რევენციული მექანიზმებს ვხვდებით, კონკურსის ჩატარების წესში (ბრძანება N1/კ-14) შერჩევის ეტაპი, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების ობიექტურ შერჩევას, რაც პრევენციულად გამორიცხავს შეუსაბამო კადრის დასაქმების რისკს. რაც შეეხება ინტერვენციული მექანიზმებს, ის სკოლაში ხორციელდება როგორც მხარდამჭერი, ისე ადმინისტრაციული ფორმით:

- მხარდამჭერი ინტერვენცია: ხარისხის ჯგუფის მიერ გამოვლენილი ხარვეზების საპასუხოდ გამოიყენება ქოუჩინგი, მენტორინგი, კოლეგიალური უკუკავშირი. ინტერვიურებით კი ჩანდა ,,კრიტიკული მეგობრის“ მიდგომის რუტინა სკოლაში.
- ადმინისტრაციული ინტერვენცია: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით კი განსაზღვრულია დისციპლინური პასუხისმგებლობის მკაფიო ზომები (გაფრთხილება, დაქვითვა, გათავისუფლება), რომლებიც გამოიყენება შინაგანაწესის ან ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სსიპ ქალაქ თბილისის N168 საჯარო სკოლის პერსონალის შერჩევის პოლიტიკის უზრუნველყოფისთვის სკოლას გააჩნია გამართული სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს ვაკანსიების ფართო გავრცელებას, სკოლა ვაკანსიას აცხადებს teacherjobs.ge საშუალებით, რომლითაც უზურუნველყოფს ვაკანსიის შესაბამისი პირობების წარდგენას, კადრების მოზიდვას, კანდიდატთა შერჩევას კომისიის მიერ და შეფასების პროცესის დოკუმენტირებას. ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპები დაცულია როგორც შერჩევის ეტაპზე (კრიტერიუმების წინასწარი განსაზღვრა), ისე შედეგების გამოცხადებისა და გასაჩივრების ეტაპზე. წარმოდგენილი დოკუმენტები იძლევა იმის გარანტიას, რომ სკოლაში დასაქმდება პოზიციის შესაბამისი, კვალიფიციური კადრი. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში, შემთხვევითობის პრინციპით შეირჩა და გადამოწმდა თანამშრომელთა პირადი საქმეები. დოკუმენტაცია სრულად იყო წარმოდგენილი, სრულად აკმაყოფილებდა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს და მოიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას, მათ შორის კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს, სამუშაო გამოცდილებას, ცნობებს ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ, ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლაში დასაქმებულია 31 უფროსი მასწავლებელი, 6 კი წამყვანი მასწავლებლის სტატუსს ფლობს. გარდა ამისა, სკოლაში მუშაობენ სპეციალური მასწავლებლები და მათი ასისტენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერას. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში, შემთხვევითობის პრინციპით შეირჩა და გადამოწმდა თანამშრომელთა პირადი საქმეები. დოკუმენტაცია სრულად იყო წარმოდგენილი, სრულად აკმაყოფილებდა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს და მოიცავდა ყველა საჭირო ინფორმაციას, მათ შორის კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს, სამუშაო გამოცდილებასა და სხვა შესაბამის მონაცემებს. მასწავლებელთა კვალიფიკაცია სრულად შეესაბამებოდა მათ საათობრივ დატვირთვას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიან და ეფექტიან ორგანიზებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სსიპ ქალაქ თბილისის N168 საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა აშკარად ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ პრინციპებს. სკოლაში დანერგილია კოლეგიური მართვის მექანიზმები (პედაგოგიური საბჭო, კათედრები), თანამშრომელთა აქტიური ჩართულობა გადაწყვეტილების მიღებაში და პროფესიული განვითარების პროცესებში. ამასთან, მენტორინგის, ქოუჩინგისა და კოლეგიალური თანამშრომლობის პრაქტიკები აყალიბებს თანამშრომლობით გარემოს, ხოლო ეფექტური შიდა კომუნიკაცია უზრუნველყოფს ერთიანი გუნდის ფორმირებას. ინტერვიურების დროს კათედრათა შორის თანამშრომლობითი კულტურა კარგად გამოჩნდა მასწავლებლების მიერ გაზიარებული პრაქტიკით, მაგალითად როგორ ამუშავებს კონკრეტული პარალელური კლასების მასწავლებლები კურიკუკულმს და როგორ ხდება კლასის საჭიროებაზე მორგება. ასევე საინტერესო პრაქტიკა გააზიარეს დაწყებითი კლასების პედაგოგებმა სადამრიგებლო საათზე ერთმანეთთან დასწრების შესახებ და შემდეგომი უკუკავშირი პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სსიპ ქალაქ თბილისის N168 საჯარო სკოლას გააჩნია პერსონალის წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების ქმედითი მექანიზმები. აღიარება ხორციელდება როგორც მატერიალური (პრემია, საჩუქარი), ისე საჯარო (მადლობა, ვებგვერდზე განთავსება) ფორმებით. გამოცდილების გაზიარება კი უზრუნველყოფილია მენტორინგის სისტემით, კათედრების მუშაობით. სკოლაში შექმნილია გარემო, სადაც წარმატება ფასდება და ხდება მისი ტრანსფორმაცია საერთო ორგანიზაციულ კულტურად.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების პოლიტიკის დოკუმენტი;
- ვაკანსიის მასალები;
- შრომითი ხელშეკრულება;
- თანამშრომლის ადაპტირების წესი;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- კათედრის დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლაში მოქმედებს პერსონალის შეფასების სისტემა. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით (ბრძანება N2-20), შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით, რომლებიც დეტალურად არის გაწერილი შესაბამის რეგულაციებში. შეფასების პროცესი ეფუძნება თანამშრომლის პროფესიული უნარების, ცოდნისა და პიროვნული თვისებების შესაბამისობის დადგენას მის მიერ დაკავებულ პოზიციასთან. აღსანიშნავია, რომ შეფასება არ ატარებს მხოლოდ მონიტორინგის ხასიათს; მისი მთავარი მიზანია პერსონალის კარიერული წინსვლის ხელშეწყობა, მოტივირება და პროფესიული განვითარების რეალური საჭიროებების გამოკვეთა. რაც შეეხება პროფესიული განვითარების

საჭიროებებს, სკოლაში დგინდება მრავალმხრივი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომით. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტით შეფასების პროცესის დასრულების შემდეგ ხდება თანამშრომლის ძლიერი და სუსტი მხარეების შეჯამება. საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის სკოლა იყენებს ანალიტიკურ ინსტრუმენტებს, მათ შორის SWOT ანალიზს, თვითშეფასების კითხვარებსა და გაკვეთილებზე დაკვირვების შედეგებს (ბრძანება N2-06). ამ პროცესში საკვანძო როლს ასრულებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი (ბრძანება N1/კ-52), რომელიც ახდენს მონაცემების ანალიზს და თითოეული მასწავლებლისთვის ინდივიდუალური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრას. სკოლის სისტემის ერთ-ერთ მთავარ ძლიერ მხარეს წარმოადგენს შეფასებასა და განვითარებას შორის არსებული მჭიდრო კავშირი. შეფასების შედეგები არ რჩება მხოლოდ ფორმალურ დოკუმენტებში, არამედ პირდაპირ ტრანსფორმირდება პერსონალის განვითარების გეგმებში. გამოვლენილი საჭიროებების საპასუხოდ, სკოლა სთავაზობს თანამშრომლებს განვითარების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს: მიზნობრივ ტრენინგებს, მენტორინგს, ქოუჩინგს და სპეციალურ განმავითარებელ დავალებებს. პროცესი ატარებს უწყვეტ ხასიათს და ქმნის განვითარების ციკლს: შეფასება - საჭიროებების იდენტიფიცირება -ინტერვენცია/განვითარება - ხელახალი შეფასება პროგრესის დასადგენად.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს, რომ პერსონალის განვითარება არ არის ფრაგმენტული და იგი პირდაპირ ეფუძნება დიაგნოსტირებულ საჭიროებებს. მაგალითად:

- **კვლევა და ანალიზი:** სკოლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობა: „თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა “, რომლის ინდიკატორად მითითებულია კითხვარების ანალიზი და გაკვეთილზე დასწრების უკუკავშირი.
- **მონიტორინგის როლი:** ხარისხის ჯგუფი და დირექცია ახორციელებენ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებას, რომლის შედეგების ანალიზი ხდება საფუძველი „შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელებისთვის “ასევე ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შეიცავს ცალკეულ სტრატეგიულ მიმართულებას ადამიანური რესურსის განვითარებისთვის, სადაც აქტივობები (ტრენინგები, მენტორინგი, საჭიროებათა კვლევა) გამომდინარეობს მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლენილი გამოწვევებისგან. მტკიცებულებები (კითხვარების ანალიზი, ტრენინგების გეგმა და სხვა) ადასტურებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს პერსონალის მუდმივ პროფესიულ ზრდას წინასწარ განსაზღვრული და საჭიროებებზე მორგებული გეგმის მიხედვით.

  ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სსიპ ქალაქ თბილისის N168 საჯარო სკოლაში პერსონალის კარიერული ზრდა მხარდაჭერილია სისტემურად, მრავალმხრივი მექანიზმებით, რაც ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილ ადამიანური რესურსების პოლიტიკის დოკუმენტებში. სკოლა უზრუნველყოფს როგორც ფორმალურ კარიერულ წინსვლას (სტატუსების სისტემა), ისე პროფესიული განვითარების უწყვეტ შესაძლებლობებს (ტრენინგები, მენტორინგი, პროექტები). ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ადასტურებს, რომ ეს პროცესი არის დაგეგმილი, საჭიროებებზე დაფუძნებული და მონიტორინგის ქვეშ მოქცეული. აღნიშნული ქმნის გარემოს, სადაც თანამშრომლებს აქვთ რეალური შესაძლებლობა პროფესიული და კარიერული წინსვლისთვის. მნიშვნელოვანი იყო მასწავლებლებთან ინტერვიურების დროს გამოვლენილი მათი დამოკიდებულება კარიერული ზრდისა და განვითარების მიმართ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლაში თანამშრომელთა ადაპტაცია და ინტეგრაცია განსაზღვრულია, როგორც პროცესი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას უზრუნველყოფს როგორც ადმინისტრაცია, ასევე უშუალო ხელმძღვანელი და კოლეგები, რაც მიუთითებს გუნდურ პასუხისმგებლობაზე ადაპტაციის პროცესში. აქვე ჩნდება კათედრის როლი, რომლის დებულებაც აღწერს აღნიშნულ პროცესს ერთის მხრივ სავალდებულო ჩართულობით, როცა ყველა მასწავლებელი გაერთიანებულია შესაბამის კათედრაში, რაც უზრუნველყოფს ახალ თანამშრომელთა ავტომატურ ჩართვას პროფესიულ გუნდში, მეორეს მხრივ თანამშრომლობითი გარემო:კათედრის ერთ-ერთი მიზანია პედაგოგთა შორის თანამშრომლობის განვითარება და გამოცდილების გაზიარება. მასწავლებლებთან ინტერვიურებიდან ჩანდა აღნიშნული ინფორმაციის პრაქტიკაში დანერგვა და ახალი თანამშრომლის მოქნილად ინტეგრირება ახალ სამუშაო გარემოსთან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სსიპ ქალაქ თბილისის N168 საჯარო სკოლაში პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური ფორმებით. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს პერსონალის წახალისების საფუძვლებსა და ფორმებს. წახალისება გამოიყენება „პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის “, „განსაკუთრებული სირთულის სამუშაოს შესრულებისათვის “და „საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის “.

- მადლობა,
- სიგელი,
- ფასიანი საჩუქარი,
- ფულადი პრემია და
- დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადაზე ადრე მოხსნა.

ასევე ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს კონკრეტულ ამოცანას: „თანამშრომელთა წახალისების სისტემის გაუმჯობესება/დახვეწა“ ეს მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა მუდმივად ზრუნავს წახალისების მექანიზმების ეფექტიანობასა და გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ხარისხის მართვის მექანიზმი;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების მასალები;
- თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების დოკუმენტი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა
3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის მიერ წარმოდგენილ ხარისხის მართვის დოკუმენტით სკოლის მართვის თანამედროვე და პროცესუალურ მოდელს ვხედავთ.

- **პროცესების კლასიფიკაცია:** სკოლის საქმიანობა დაყოფილია მმართველობით (სტრატეგიული და წლიური დაგეგმვა), ძირითად (კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის მართვა) და დამხმარე (HR, ფინანსები, მატერიალური რესურსები) პროცესებად;
- **პროცესის სტანდარტიზაცია:** თითოეული პროცესი აღწერილია დოკუმენტურად და მოიცავს მიზანს, შედეგს, ქვეპროცესებს, პასუხისმგებელ პირებს.

აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი ხარისხის მართვის ციკლური მექანიზმი:

- **დაგეგმვა (Plan):** რისკების შეფასება და შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა;
- **განხორციელება (Do):** შეფასების პროცესი, რომელიც მოიცავს დოკუმენტაციის შესწავლას, ინტერვიუირებასა და გაკვეთილებზე დასწრებას.
- **შემოწმება (Check):** დასკვნის პროექტის მომზადება, მიგნებების იდენტიფიცირება და უკუკავშირი შემოწმების ობიექტთან.
- **განვითარება (Act):** რეკომენდაციების გაცემა და მათი შესრულების მონიტორინგი. რეკომენდაციები მიმართულია „პრაქტიკის გაუმჯობესებისკენ “.

აღნიშნული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის სისტემატურ მართვას.

ინდიკატორი შესაბამსობაშია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სსიპ ქალაქ თბილისის N168 საჯარო სკოლის „ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტი “უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესების სრულ იდენტიფიცირებასა და სტრუქტურირებას. პროცესები მკაფიოდ არის კლასიფიცირებული მმართველობით, ძირითად და დამხმარე კატეგორიებად, სადაც თითოეული მათგანისთვის განსაზღვრულია მიზანი, მოსალოდნელი შედეგი, ქვეპროცესები და პასუხისმგებლობები. მნიშვნელოვანია, რომ პროცესების აღწერილობები ინტეგრირებულია შეფასებისა და გაუმჯობესების (PDCA) ციკლში. ამასთან, სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა პირდაპირ ეხმიანება იდენტიფიცირებულ პროცესებს კონკრეტული აქტივობების სახით, რაც ადასტურებს სკოლის მართვის სისტემურობასა და თანმიმდევრულობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლამ წარმოადგინა განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც მოიცავს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისადმი გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის პროცედურებს. (თანამშრომლები, მოსწავლეები, მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები). დოკუმენტში განსაზღვრულია მკაფიო ვადები: მაგალითად, 10 სამუშაო დღე განცხადებისთვის, 1 თვე საჩივრისთვის,დეტალური რეკვიზიტები და მოთხოვნები ასევე ვადების გაგრძელების შესაძლებლობა გამართლებული მიზეზებით. მნიშვნელოვანია სამფაზიანი/სამდონიანი პროცედურა საჩივრის განხილვისთვის. კერძოდ, პირველადი განხილვა დირექტორის დონეზე, მეორადი განხილვა სამეურვეო საბჭოში, საბოლოო გასაჩივრება სასამართლოში.

ასევე სკოლის შინაგანაწესი სრულად უზრუნველყოფს საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტილებების გასაჩივრების სისტემის არსებობას როგორც თანამშრომლებისთვის, ასევე მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის. პროცედურები დეტალურადაა გაწერილი, გათვალისწინებულია ყველა მხარის ჩართულობა, დროულობა და ობიექტურობა. ორივე დოკუმენტი თანხვედრაშია ერთმანეთთან და საქართველოს კანონმდებლობასთან.

ინდიკატორი შესაბამისიობაშია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

N168 საჯარო სკოლაში პერსონალისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია მრავალმხრივი მექანიზმებით, რომლებიც გაწერილია შინაგანაწესში. დოკუმენტი ეფუძნება კანონმდებლობას და ითვალისწინებს დისკრიმინაციის აკრძალვას, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას, სამართლიან და პროპორციულ დისციპლინურ პროცედურებს, ასევე მშობლების ინფორმირებულობასა და ჩართულობას. აღნიშნული მექანიზმები ფუნქციონირებს სისტემურად და უზრუნველყოფს უფლებების რეალურ დაცვას სკოლის ყოველდღიურ საქმიანობაში. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვას. გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის პასუხისმგებელი პირი. სკოლა საზოგადოების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად თავისი კომპეტენციის ფარგლებში სრულყოფილ ინფორმაციას აწვდის შესაბამის ადრესატებს, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ის ცხელი ხაზის ნომერი. – 112. სკოლას ჰყავს მანდატურები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ხარისხს პოლიტიკის დოკუმენტი;
- განცხადებებისა და საჩივრის განხილვის წესი;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტი წარმოადგენს ამ მიმართულებით ძირითად ჩარჩოს, სადაც დეტალურად არის განსაზღვრული ინფორმირების არხები (ოფიციალური ვებ-გვერდი, სოციალური ქსელები, ელექტრონული კომუნიკაცია, საინფორმაციო შეხვედრები), ასევე უკუკავშირის მიღების ინსტრუმენტები (კითხვარები, ფოკუს-ჯგუფები, ინტერვიუები, „ღია კარის დღეები “). დოკუმენტი მკაფიოდ ასახავს უკუკავშირის დამუშავებისა და რეაგირების ციკლს (PDCA), რაც გულისხმობს მიღებული ინფორმაციის ანალიზს და მის საფუძველზე მართვითი გადაწყვეტილებების მიღებასა და სკოლის განვითარების გეგმებში ასახვას, ხოლო სკოლის შინაგანაწესი განსაზღრავს სკოლის შიდა კომუნიკაციის წესებს, ინფორმაციის გავრცელების ფორმებსა და პერიოდულობას, ასევე უზრუნველყოფს მშობლებისა და პერსონალის ინფორმირებულობას სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე. უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს „საჩივრისა და განცხადების წარდგენის წესი “რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთათვის ოფიციალურ შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი პოზიცია, უკმაყოფილება ან ინიციატივა. ამასთანავე სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა პირდაპირ ეხმიანება იდენტიფიცირებულ პროცესებს კონკრეტული აქტივობების სახით, სკოლა მიღებულ უკუკავშირს იყენებს პრაქტიკაში. გეგმაში ასახულია კონკრეტული აქტივობები, როგორიცაა კმაყოფილების კვლევები, საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა, რაც მიუთითებს, რომ უკუკავშირი რეალურად აისახება სკოლის განვითარების პროცესში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2.უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლაში წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულები, როგორიცაა სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, კათედრები, თავისი ფორმატით წარმოადგენენ კოლეგიალურ ორგანოებს. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სკოლაში წარმოდგენილია ყველა ის კოლეგიალური ორგანო, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა როგორც სასკოლო ცხოვრებაში, ასევე სკოლის მართვის პროცესებში. კანონმდებლობით გათვალისწინებული კოლეგიალური

ორგანოების არსებობა და მათი უფლება-მოვალეობები სრულად უზრუნველყოფს ინდიკატორის შესაბამისობას. მაგალითად, როდესაც სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ - თავისი ფორმატით კოლეგიალური ორგანოა და შედგება სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლისგან, ეს უკვე უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების მონაწილეობას და ჩართულობას სკოლის ცხოვრებასა და მართვაში. ამრიგად, კოლეგიალური ორგანოების არსებობა და მათი აქტიური ფუნქციონირება სკოლის მართვის პროცესში ქმნის დემოკრატიულ და გამჭვირვალე გარემოს, სადაც ყველა მხარის ინტერესები და მოსაზრებები გათვალისწინებულია.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- კათედრის დებულება;
- ხარისხს პოლიტიკის დოკუმენტი;
- განცხადებებისა და საჩივრის განხილვის წესი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლას ჰყავს მანდატური, რომელიც უზრუნველყოფს თავის საქმიანობის შესაბამისად მოსწავლეთა უსაფრთხოებას. ექსპერტთა ვიზიტამდე, დოკუმენტაციის წარმოდგენის ეტაპზე, სკოლას უკვე ჰქონდა გაგზავნილი მიმართვა უფლებამოსილ უწყებაში შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად. ამასთან, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის მისაღებად შესაბამის ორგანოსთან მიმართვა იმყოფებოდა განხილვის პროცესში და სკოლა ელოდებოდა შემდგომ ნაბიჯებს. აღნიშნული საკითხები ასახულია სკოლის შესაბამისობის გეგმაში, რომლის მიხედვითაც სახანძრო უსაფრთხოების დოკუმენტის შეთანხმების მიზნობრივ თარიღად განსაზღვრულია 01.02.2027, ხოლო შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის მიღება დაგეგმილია 21.12.2026 წლისთვის. სკოლას აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სკოლის შენობა არის ძველი, ვიზიტის დროს, ინფრასტრუქტურის დათვალიერებისას ექსპერტთა ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო იმ ფლიგელმა, რომელშიც განთავსებულია სპორტული დარბაზი; აღნიშნული ფლიგელის კედლები მნიშვნელოვნად დაზიანებულია, შეინიშნება ღრმა, მასშტაბური ბზარები, რაც საჭიროებს დროულ რეაგირებასა და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად. სკოლის ეზოს ღობის მთლიანობა იმდენად არის დარღვეული, რომ ვერ უზრუნველყოფს პერიმეტრის იზოლაციას, რაც სკოლის ტერიტორიაზე გარეშე პირთა თუ ცხოველთა უკონტროლო შეღწევის რისკს ქმნის და სრულად ადუნებს უსაფრთხოების კონტროლის მექანიზმებს და საჭიროებს სასწრაფო შეკეთებას გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სკოლის წინ ჩამოედინება პატარა რუ. მის გარშემო დამონტაჟებულია დამცავი მოაჯირი, სკოლამ წარმოადგინა ადგილობრივ თვითმმართველობისთვის მიწერილი წერილები, რომლის საფუძველზეც სკოლა ითხოვს დახმარებას ღობის გაკეთების/შეკეთებისთვის.

სასკოლო დოკუმენტაციაში გაწერილი რეგულაციებით, შინაგანაწესით და პასუხისმგებლობის გადანაწილებით სკოლის ტერიტორიაზე დაცულია ნებისმიერი პირის ფიზიკური უსაფრთხოება. სკოლას ჰყავს დარაჯი (სულ სამი). გარდა ამისა, სკოლა აღჭურვილია ვიდეო-სათვალთვალო კამერებით, როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრზე. ამასთან, კონტროლდება სკოლის შენობაში გარეშე პირთა შემოსვლა. გარეშე პირთა სკოლის შენობაში შემოსვლა დაიშვება მხოლოდ დირექციასთან შეთანხმებით. სკოლაში შექმნილია საგანგებო შტაბი. სართულებზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა.

სკოლაში შრომის უსაფრთხოების მექანიზმების კიდევ უფრო გაუმჯობესების, რისკების ეფექტიანი პრევენციისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს მუდმივი მონიტორინგის მიზნით, **სასურველია**, სკოლამ განიხილოს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტის აყვანა.

168-ე საჯარო სკოლამ გაითვალისწინა დასკვნის პროექტში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებული პოზიციები სკოლის კონკრეტული სტანდარტის ინდიკატორის ხარვეზებთან დაკავშირებით. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო დასკვნის პროექტში მითითებული ხარვეზების გასწორება. კერძოდ,

სკოლამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც ერთწლიანი ვადის ფარგლებში (26.04.2026 – 26.04.2027) უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. კერძოდ-

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მიმართვა შესაბამის უფლებამოსილ უწყებასთან, რომელიც მიზნად ისახავს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას. სკოლამ შეიმუშავა და წარადგინა კონკრეტული შესაბამისობის გეგმა (პერიოდი: 26.04.2026 – 26.04.2027), რომლის ფარგლებშიც აღებული აქვს ვალდებულება, ინფრასტრუქტურა სრულ შესაბამისობაში მოიყვანოს მოქმედ სახანძრო უსაფრთხოების წესებსა და ტექნიკურ რეგლამენტებთან.

ამასთანავე, სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მოიცავს ვალდებულებას, დადგენილ ვადებში (26.04.2026-26.04.2027) განხორციელდეს გარე პერიმეტრის (ღობის) სრული რეაბილიტაცია მისი მთლიანობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვერ გაზიარდა სკოლის მიერ წარმოდგენილი პოზიცია შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნათან მიმართებით.სკოლამ წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა (N5002200426, 15.04.2026), რომელშიც ვკითხულობთ:

> სსიპ ქალაქ თბილისის N168 საჯარო სკოლის შენობის (საკადასტრო კოდი #01.19.14.001.005) ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. შენობის კონსტრუქციული სქემა არ შეესაბამება თანამედროვე სეისმურ სტანდარტებს. არსებული დაზიანებები ძირითადად II ხარისხისაა და გამოწვეულია ტექნიკური მოვლის არარსებობით. სკოლის გამოყენება ***უსაფრთხოა ამ ეტაპზე,*** თუმცა ***საჭიროებს დაუყოვნებელ*** გადაწყვეტილებებს რეაბილიტაციის სამუშაოებთან დაკავშირებით, გამოკვლევის ნაწილში ჩამოთვლილი ნაკლოვანებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით.

დაწესებულების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს სტანდარტით განსაზღვრულ სტაბილურად უსაფრთხო გარემოს. მიუხედავად იმისა, რომ დასკვნაში შენობის ექსპლუატაცია მიჩნეულია „უსაფრთხოდ ამ ეტაპისთვის “, დოკუმენტში იკვეთება შეუსაბამობები ავტორიზაციის ინდიკატორის მოთხოვნებთან, კერძოდ:

1. **მნიშვნელოვნად მოგვაჩნია ფორმულირება დასკვნაში ,,დაუყოვნებელი გადაწვეტილება“**

2. **,,უსაფრთხოდ ამ ეტაპისთვის“ რა დროით განისაზღვრება;**

აქეედან გამომდინარე:

ინდიკატორი 3.4.1.1 არ არის შესაბამისობაში.

<u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია</u>, შესაბამისობის გეგმის (26.04.2026 – 26..04.2027) ფარგლებში, შენობა-ნაგებობა სრულ შესაბამისობაში მოიყვანოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან და ტექნიკურ რეგლამენტებთან.

<u>**სკოლას მიეცა რეკომენდაცია**</u> შესაბამისობის გეგმის ფარგლებში (26.04.2026-26.04.2027) უზრუნველყოს გარე პერიმეტრის (ღობის) მთლიანობა,

შესაბამისად, ინდიკატორი 3.4.1.1 არ არის შესაბამისობაში.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მედიკამენტებით. სკოლას საშტატო განრიგის შესაბამისად დასაქმებული ჰყავს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი — ექიმი, რომლის კომპეტენცია დასტურდება სათანადო უმაღლესი სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით

(დიპლომით) და პროფესიული საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატით/ცნობით. ექიმი საქმიანობას წარმართავს „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა“ და მოქმედი რეგულაციების სრული დაცვით. სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და ოპერატიულობის უზრუნველსაყოფად, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“, რაც ქმნის მყარ გარანტიას მოსწავლეთათვის დროული და კვალიფიციური პირველადი დახმარების აღმოსაჩენად.

შესაბამისია ინდიკატორთან.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში ეფექტიანად არის დანერგილი საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები. საგანმანათლებლო დაწესებულებაში წესრიგზე ზრუნავს მანდატური და დარაჯი, ხოლო შენობის პერიმეტრი სრულად კონტროლდება ვიდეომონიტორინგის სისტემით. უსაფრთხოების პროცესების სამართლებრივ მოწესრიგებას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორის შესაბამისი ბრძანება, რომლითაც განსაზღვრულია საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები და ვალდებულებები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლის შესასვლელსა და დერეფნებში გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც იწვევს ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს ასოციაციას. ასევე სკოლას ყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები სპეციალური მასწავლებლები, ფსიქოლოგი, პირადი ასისტენტები დაა.შ. რომლებიც უზრუნველყოფენ განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის სსსმ მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. სკოლის დამრიგებლების მიერ ხდება სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება,რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე. იმგვარად იგეგმება აქტივობები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფსიქოლოგიურუსაფრთხოებას. ამასთანავე, სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას ახდენს სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი და მანდატური, რომლებიც ასევე ზრუნავენ სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნაზე.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია. სკოლის ყველა სართულზე გათავსებულ საპირფარეშოებში (ცალკე გოგონებისთვის და ცალკე ბიჭებისთვის) დაცული იყო ყველა ჰიგიენური ნორმა.სარეცხი და დასასუფთავებელი ქიმიებისთვის გამოყოფილი აქვთ ცალკე ოთახი, სკოლაში დასაქმებულნი არიან შესაბამისი პირები - 3 დამლაგებელი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლაში შემუშავებულია და დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი. დოკუმენტი დეტალურად არეგულირებს მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებს (კანონიერება, მიზნობრიობა, პროპორციულობა, მონაცემთა სიზუსტე და უსაფრთხოება) და მოიცავს როგორც დასაქმებულთა, ასევე მოსწავლეთა და სხვა დაინტერესებული პირების მონაცემთა დამუშავების სრულ ციკლს. განსაზღვრულია მონაცემთა კატეგორიები, დამუშავების მიზნები და სამართლებრივი საფუძვლები, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და კანონიერებას. სკოლაში დანერგილია როგორც ორგანიზაციული, ისე ტექნიკური დაცვის მექანიზმები: შეზღუდულია მონაცემებზე წვდომა კომპეტენციის მიხედვით, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, მონაცემთა შენახვის ვადები და მათი განადგურების/დაბლოკვის წესები. ცალკე რეგულირდება ელექტრონული სისტემების (emis, Teams), ვიდეომონიტორინგის, ელექტრონული ჟურნალისა და პირადი საქმეების წარმოების პროცესში მონაცემთა დაცვა, რაც მიუთითებს პროცესების სტრუქტურირებულობასა და პრაქტიკულ უზრუნველყოფაზე. ამასთან, სკოლაში განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომლის ფუნქციაა მონაცემთა დამუშავების პროცესების მონიტორინგი, კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, პერსონალის კონსულტირება და მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვის ხელშეწყობა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლა იღებს შესაბამის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ზომებს, იმ ელექტრონული თუ მატერიალური დოკუმენტების დასაცავად, სადაც ინახება მონაცემები სუბიექტების შესახებ. სკოლა და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფენ ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან, პროგრამაში (განათლების მართვის სისტემის მიერ ლიცენზირებული) არსებული მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ სკოლაში დასაქმებული პირებისთვის. სკოლაში დაცულია, ინფორმაციული უსაფრთხოება, სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ტექნოლოგიურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლას კომპიუტერული სისტემები დაცული აქვს ანტივირუსული პროგრამებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

იქიდან გამომდინარე, რომ სკოლა გადის პირველადი ავტორიზაციის პროცესს, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანზიმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასების დადგენა ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა. სამომავლოდ სკოლა გეგმავს უკუკავშირის სისტემის დანერგვას მიზნობრივი კითხვარების მეშვეობით, რაც საშუალებას მისცემს პერიოდულად შეაფასოს და შემდეგ განავიტაროს სკოლის მართვის სისტემები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა;
- საგანგებო შტაბის შექმნის ბრძანება;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- ადმინისტარციის შრომითი ხელშეკრულებები;
- პირველადი სამედიცნინო დახმარების აღმოჩენის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა მდებარეობს 10224.00კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც განთავსებულია 6646.99კვ.მ შენობა-ნაგებობები. საგანმანათლებლო პროცესისთვის სკოლას აქვს 39 საკლასო ოთახი, თითოეული აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით და სხვა საჭირო ინვენტარითა და თვალსაჩინოებებით.გარდა საკლასო ოთახებისა, სკოლაში ფუნქციონირებს დირექციის კაბინეტი, კანცელარია, სამედიცინო კაბინეტი, დარაჯის ოთახი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, კეთილმოწყობილი სპორტული გარე მოედანი, კეთილმოწყობილი საკონფერენციო დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, სკოლას აქვს ბიოლოგიის კაბინეტი, ძველი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ოთახი, ყველა ოთახი უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით.სკოლა აღჭურვილია სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების განსახორციელებლად საჭირო საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით. მის საკუთრებაშია 78 კომპიუტერი აქედან 43 ლეპტოპი, რომელთა უმეტესობა განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ხოლო ნაწილი – სკოლის სხვადასხვა სივრცეში. სკოლას აქვს 6 პრინტერი/ქსეროქსი. სამასწავლებლოში განთავსებულია მაგიდები, სკამები, კარადები. სპორტულ დარბაზში არის სპორტული ინვენტარი. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მოიცავს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, მხატვრულ ლიტერატურას და დამხმარე სახელმძღვანელოებს. სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112) და საევაკუაციო გეგმა. ყველა სართულზე განთავსებულია გოგონების, ვაჟების და მასწავლებლების სველი წერტილები.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა და საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის. სასწავლო დროის ნებისმიერ მონაკვეთში, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეუძლიათ ისარგებლონ სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიითა და ბიბლიოთეკით, სადაც გამოკრულია ქცევის წესები. პედაგოგები იყენებენ სამასწავლებლოს, კომპიუტერულ ლაბორატორიასა და ბიბლიოთეკას საკუთარი იდეებისა და ინიციატივების წარმოსაჩენად და განსახორციელებლად. სასკოლო საზოგადოებას შეუძლია ისარგებლოს სააქტო და სპორტული დარბაზებით, ბიბლიოთეკითა და მისი წიგნადი ფონდით, ასევე სკოლის მატერიალური ბაზითა და გარე სპორტული მოედნებით. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა, რომელთა რესურსების გამოყენება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია. გარდა ამისა, სკოლაში მოწყობილია რესურს-ოთახი, სადაც გამოკრულია ამ ოთახით მოსარგებლე მოსწავლეთა ინიციალებით სამუშაო საათები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის ვიზუალური დათვალიერებით აქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, რომლითაც სარგებლობა შეუძლია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელებს. დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს და თანამშრომლებს ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად, წასაკითხი მასალის შერჩევაში. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. ბიბლიოთეკის დოკუმენტბრუნვა მოწესრიგებულია და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას სხვადასხვა საჭიროების მქონე პირებისთვის. სკოლას აქვს გარედან შემოსასვლელი პანდუსი და უზრუნველყოფს ეტლით მოსარგებლე მოსწავლეების თავისუფალ და უსაფრთხო შემოსვლას შენობაში.

გარდა ამისა, სკოლაში მოწყობილია რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით ინკლუზიური და ადაპტირებული

საგანმანათლებლო გარემოს შესაქმნელად. აღნიშნულ ოთახში განთავსებულია როგორც სასწავლო, ასევე დამხმარე საშუალებები, რომლებიც ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სრულფასოვან ჩართულობას სასწავლო პროცესში. რესურს ოთახი უზრუნველყოფს როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ მუშაობას და წარმოადგენს უსაფრთხო და კომფორტულ სივრცეს მოსწავლეებისთვის.

სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად ვერ უზრუნველყოფს უნივერსალური ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვას, კერძოდ, შენობაში არ არის მოწყობილი შიდა პანდუსი. აღნიშნული გარემოება ზღუდავს შშმ პირების თავისუფალ გადაადგილებას შენობის შიგნით და ვერ უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის საჭირო ფიზიკურ გარემოს, რაც წინააღმდეგობაში მოდის მოქმედ სტანდარტებთან. თუმცა აქვს გაგზავნილი მიმართვა (15.01.2026) სამგორის რაიონის გამგეობასთან მოძრავი პანდუსის ან ლიფტის გაკეთების თაობაზე.

ამ ეტაპზე სკოლაში ირიცხება ეტლით მოსარგებლე ერთი მოსწავლე. დირექციასთან ინტრევიურებით ჩანს, რომ აღნიშნული მოსწავლე სარგებლობს მხოლოდ პირველი სართულზე მდებარე ინფრასტუქტურით.

168-ე საჯარო სკოლამ გაითვალისწინა დასკვნის პროექტში ექსპერტთა ჯგუფი მიერ გაზიარებული პოზიციები სკოლის კონკრეტული სტანდარტის ინდიკატორის ხარვეზთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც ერთწლიანი ვადის ფარგლებში (26.04.2026 – 26.04.2027) უზრუნველყოფს სკოლის **ინფრასტრუქტურას ინკლუზიურ გარემოს შექმნისთვის**. კერძოდ

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმის ფარგელბში (26.04.2026-26.04.2027) შექმნას ინკლუზიური სასწავლო გარემო და მოაწყოს შიდა პანდუსი.

ინდიკატორი 3.5.1.4 —მეტწილად შესაბამისია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ადგილზე ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ასრულებს უმნიშვნელოვანეს სოციო-კულტურულ ფუნქციას. სკოლის გეოგრაფიული მდებარეობისა (თბილისის გარეუბანი) და ადგილობრივი თემის სოციო-ეკონომიკური კონტექსტის გათვალისწინებით, სასკოლო სივრცე წარმოადგენს ერთადერთ ხელმისაწვდომ ალტერნატიულ გარემოს მოსწავლეთა პიროვნული, კულტურული და ინტელექტუალური განვითარებისთვის. მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზმა აჩვენა, რომ ოჯახებისთვის სკოლა არის ცოდნის მიღების ერთადერთი წყარო. მშობლების მხრიდან გამოხატული მაღალი კმაყოფილება და მადლიერება ხაზს უსვამს სკოლის როლს განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც თემს არ აქვს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების (მაგ. რეპეტიტორობა) ფინანსური რესურსი.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;

- ლაბორატორიით სარგებლობის წესები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს როგორც ადმინისტრაციული, ისე სასწავლო პროცესის ეფექტიან და თანამედროვე სტანდარტების შესაბამის წარმართვას. სკოლაში ფუნქციონირებს 78 კომპიუტერი მათ შორის 43 პერსონალური ლეპტოპი, 6 პრინტერი, რაც საშუალებას აძლევს როგორც მოსწავლეებს, ისე მასწავლებლებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს, საჭიროებისამებრ გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები სასწავლო და სამუშაო მიზნებისთვის. ყველა ეს ტექნიკური საშუალება განთავსებულია კეთილმოწყობილ კაბინეტში, რაც კიდევ უფრო ხელს უწყობს სასწავლო გარემოს ხარისხს. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტ კავშირით, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს როგორც სასწავლო რესურსებზე წვდომას, ისე ადმინისტრაციული პროცესების მართვას. მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და სხვა თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა, თავისუფლად ისარგებლონ აღნიშნული ტექნოლოგიებით როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მუშაობისას. სკოლა მუდმივად ითვალისწინებს მასწავლებლებისა და მოსწავლეების ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც აისახება როგორც ტექნიკური ბაზის განახლებაში, ისე ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის კომპიუტერები და ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია, სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლის მოსწავლეებსა და თანამშრომლებს უფლება აქვთ გამოიყენონ კომპიუტერული ლაბორატორია და სხვა ტექნიკა საგანმანათლებლო მიზნებისთვის და სკოლა უზრუნველყოფს მის თანაბარ ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ლაბორატორიის სარგებლობის წესები;
- კომპიურებისა და სხვა ტექნიკის დამადასტურებელი დოკუმენტები.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი საქმისწარმოების წესი უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის პროცესის სიზუსტეს, გამჭვირვალობასა და ეფექტურობას. ეს ქმნის სამართლებრივად გამართულ და ორგანიზებულ ადმინისტრაციულ გარემოს. დოკუმენტი განსაზღვრავს საქმისწარმოების წესებს, რომლებიც ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. მითითებულია, რომ ყველა პროცედურა და დოკუმენტბრუნვა უნდა განხორციელდეს კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. მატერიალური საქმისწარმოებისთვის აუცილებელი ჟურნალები სრულად არის შესაბამისობაში კანონმდებლობასთან. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული პროცესების ყოველდღიურ რუტინაში განხორციელებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. საქმისწარმოებათან დაკავშირებით, სკოლა იყენებს E-flow სისტემას, სადაც ტარდება ყველა კორესპონდენცია, ბრძანებები, წერილები, განცხადებები, სამსახურებრივი ბარათები. სკოლას აქვს ვებ-გვერდი - სკოლა სარგებლობს სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემით (ESCHOOL), რომელშიც დაცულია მოსწავლეთა და თანამშრომლების პერსონალური ინფორმაცია და ბაზები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. ინდიკატორი შესაბამისობაშია.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას აქვს სრულყოფილი და დეტალურად შევსებული პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, რაც უზრუნველყოფს როგორც ადმინისტრაციული, ისე სასწავლო პროცესების გამჭვირვალობასა და ეფექტიან მართვას. Eschool-ის ბაზაში სრულად არის ასახული სკოლის პერსონალისა და მოსწავლეების მონაცემები, მათ შორის თითოეული კლასის შემადგენლობა, მოსწავლეთა მობილობის ისტორია, დონის დაძლევის შედეგები, მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცედურები, ასევე სახელმძღვანელოების არჩევის და განაწილების დეტალები. გარდა ამისა, სისტემაში რეგულარულად განახლდება ინფორმაცია როგორც მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების, ისე მათი დასწრების, ინდივიდუალური საჭიროებებისა და სხვა მნიშვნელოვანი პარამეტრების შესახებ. ეს მონაცემები საშუალებას აძლევს სკოლის ადმინისტრაციას, მასწავლებლებსა და შესაბამის სტრუქტურებს, დროულად მიიღონ გადაწყვეტილებები როგორც სასწავლო პროცესის, ისე მოსწავლეთა ინდივიდუალური მხარდაჭერის მიმართულებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლა თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აწვდისსაჭირო ინფორმაციას, უკუკავშირს და ანგარიშებს.კერძოდ, სკოლა აქტიურად თანამაშრომლობს ისანი-სამგორის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და მისი დახმარებით ამყარებს კომუნიკაციას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან გარდა აღნიშნულისა, სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბერს საკანონმდებლო მაცნეში აქვეყნებს და საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს წარუდგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ მონაცემებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- სსიპ ქალაქ თბილისის 168 საჯარო სკოლის Eschool-ის ბაზა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, eflow;

- მატერიალური ჟურნალები;
- E-flow;
- Eschool.emis.ge სკოლის პროფილი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია კანონმდებლობით მოთხოვნილი ინფორმაცია, ასევე სკოლის სხვადასხვა აქტივობის ამსახველი მასალები. გარდა ამისა, სკოლას აქვს საკუთარი Facebook გვერდი, სადაც რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია მიმდინარე და უკვე განხორციელებული პროექტების, სასწავლო და ინტელექტუალური ღონისძიებების, კონკურსებისა და ოლიმპიადების შესახებ. სოციალურ ქსელში შექმნილია სპეციალური ჯგუფები (კლასების, მასწავლებლების, მშობლებისათვის), რომელთა მეშვეობით წევრები იღებენ მათთვის საჭირო ინფორმაციას. სკოლის სოციალური ქსელი ღიაა, საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ მონაცემები განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში, რომელსაც შესაბამისი მასწავლებლები და მშობლები იყენებენ. ინფორმაციის გაცვლა, მიღება და დამუშავება ასევე ხდება სკოლის ელექტრონული ფოსტის საშუალებით. სკოლას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ინფორმაცია ამ სივრცეებში იყოს დროულად და სწორად განთავსებული.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელებში რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობებისა და მიღწევების შესახებ. ეს ინფორმაცია არის ზუსტი და სანდო, რასაც ადასტურებს შესაბამისი ფოტომასალა (რომელიც ქვეყნდება მშობლების თანხმობით) და სხვადასხვა ღონისძიებების, პროექტებისა თუ შეჯიბრებების დოკუმენტური დასტურები. სკოლის ადმინისტრაცია სრულ პასუხისმგებლობას იღებს იმაზე, რომ საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია იყოს უტყუარი და შეესაბამებოდეს რეალობას. სკოლას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის ადმინისტრაციამ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ აქტიურად მართავს კომუნიკაციას როგორც მშობლებთან, ისე მოსწავლეებთან — იქნება ეს მშობელთა კრებები, ინდივიდუალური შეხვედრები თუ სხვა ფორმატი. ანალოგიურად აღინიშნა მშობლებთან ინტერვიურების დროს. დირექცია მუდმივად იღებს მათგან უკუკავშირს და ამ ინფორმაციას იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისთვის. სკოლა ღიაა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის და მიღებულ უკუკავშირს იყენებს საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა ახლა გადის პირველადი ავტორიზაციის პროცესს და ამ ეტაპზე აყალიბებს სისტემურ ცვლილებებს, უკუკავშირის შედეგების პრაქტიკული ასახვა მოსალოდნელია უახლოეს მომავალში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, რომელზედაც მუდმივად ხდება ინფორმაციის განახლება და სიახლეების გამოქვეყნება. ვებ-გვერდი არის ქართულენოვანი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ-გვერდზე გათავსებულია შემდეგი ინფორმაცია: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, საკონტაქტო ინფორმაცია. სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი;

- სკოლის სოციალური ქსელი;
- ელექტრონული ჟურნალი;
- დირექტორის ბრძანება „სკოლის ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ “.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა მიზნად ისახავს ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენებას, რათა ყველა მოსწავლეს ჰქონდეს თანაბარი წვდომა ხარისხიან განათლებაზე. ბიუჯეტის დაგეგმვისას, სკოლა ითვალისწინებს მოსალოდნელ შემოსავლებს, პრიორიტეტულ მიმართულებებს, პროგნოზირებულ ხარჯებს, წინა წლის ანალიზს და საბიუჯეტო პროცედურებს. სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსება სკოლის შემოსავლების ძირითადი წყაროა, სკოლა ახერხებს დამატებითი სახსრების მოზიდვას ეკონომიკური საქმიანობიდან და მათ მიმართვას სკოლის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. სკოლის ბიუჯეტი უზრუნველყოფს დასახული სამოქმედო გეგმის განხორციელებას. ვაუჩერული დაფინანსების დიდი ნაწილი მიმართულია პერსონალის შრომის ანაზღაურებასა და კომუნალური გადასახადების დაფარვაზე. ბიუჯეტი ასევე მოიცავს საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსების შეძენისათვის საჭირო თანხებს, ინდივიდუალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის საჭირო რესურსების ფინანსურ უზრუნველყოფას და სხვა ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია სასწავლო პროცესის შეუფერხებლად და ხარისხიანად წარმართვისათვის. სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, ბიუჯეტიდან გამოიყოფა თანხები სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა ახორციელებს ფინანსური რესურსების სრულ მართვას, რაც მოიცავს დაგეგმვას, კორექტირებას, განაწილებასა და კონტროლს. კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლის სამეურვეო საბჭო ამტკიცებს დირექტორის მიერ წარმოდგენილ მომავალი წლის ბიუჯეტს. ბიუჯეტის შემუშავებისას გათვალისწინებულია ძირითადი პრიორიტეტები და საჭიროებები, რაც აისახება როგორც შემოსავლების, ისე ხარჯების ნაწილში. სასწავლო წლის განმავლობაში, ფაქტობრივი შემოსავლებისა და ხარჯების ცვლილების გამო, ხშირად დგება ბიუჯეტში კორექტივების შეტანის აუცილებლობა. ბიუჯეტის ცვლილებები ხორციელდება დამტკიცებული პროცედურების შესაბამისად, სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განხილვის საფუძველზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს სხდომის დოკუმენტაცია;
- სამოქმედო გეგმა;
- ფინანსური დოკუმენტაცია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, რომელიც ასახავს მოსწავლის უფლებებისა და გარანტიების დაცვის მექანიზმებს, დოკუმენტში ნათლად არის ფორმირებული პრინციპი, რომ სასკოლო დისციპლინა უნდა დაეფუძნოს მოსწავლის თავისუფლებისა და პირადი ღირსების პატივისცემას. დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლის დაცვის უფლებას: ნებისმიერი დისციპლინური წარმოებისას სავალდებულოა მშობლის დაუყოვნებლივი ინფორმირება და მისი თანდასწრებით ახსნა-განმარტების ჩამორთმევის პროცედურა. შინაგანაწესი მკაცრად ზღუდავს პედაგოგთა მხრიდან ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ზეწოლას, რაც გარანტირებულია ადმინისტრაციული სანქციებით, მათ შორის, სამსახურიდან გათავისუფლებით მსგავსი ფაქტების გამოვლენისას. შინაგანაწესი ასევე უზრუნველყოფს მოსწავლის განათლების უფლების უწყვეტობას — სკოლა ვალდებულია ისეთი ზომები მიიღოს, რომ დისციპლინურმა სახდელმა არ გამოიწვიოს მოსწავლის სასწავლო პროცესიდან არსებითი ჩამორჩენა. გარდა ამისა, დაცულია კანონისმიერი იმპერატიული მოთხოვნები, როგორიცაა დაწყებით და საბაზო საფეხურზე მოსწავლის გარიცხვის აკრძალვა და გაკვეთილიდან გაძევებული მოსწავლის უმეთვალყურეოდ დატოვების დაუშვებლობა მშობლის მოსვლამდე. ამგვარად, დოკუმენტი ქმნის მყარ სამართლებრივ საფუძველს სკოლაში უსაფრთხო, ეთიკური და მოსწავლის ინტერესებზე ორიენტირებული გარემოს შესაქმნელად.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტში მშობლებთან ურთიერთობის დებულება, რომელიც ცხადად აჩვენებს, რომ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა სკოლაში ერთ-ერთ პრიორიტეტად არის განსაზღვრული და ეს საკითხი გამჭვირვალედ არის გაზიარებული სასკოლო საზოგადოებასთან. დოკუმენტში გაწერილი სკოლის ვალდებულებები, რაც მოიცავს უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნას, მოსწავლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას, ასევე მისი პიროვნული და ფიზიკური განვითარების ხელშეწყობას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლის უფლებებისა და ინტერესების დაცვას, სამართლიანი და ობიექტური შეფასების უზრუნველყოფას. დოკუმენტი ასევე გამოკვეთს ძალადობის პრევენციისა და შესაბამისი რეაგირების მნიშვნელობას, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მოსწავლის უფლებების დაცვის მექანიზმებს. პარალელურად, ხაზგასმულია პერსონალური მონაცემების დაცვა და კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა. მნიშვნელოვანია, რომ რეგულაციები არ შემოიფარგლება მხოლოდ დეკლარაციული ჩანაწერებით — ისინი მხარდაჭერილია მშობელსა და სკოლას შორის აქტიური და მრავალმხრივი კომუნიკაციის სისტემით. ინფორმაციის გაზიარება ხორციელდება სხვადასხვა არხით, მათ შორის მშობელთა კრებებით, ინდივიდუალური შეხვედრებით, ელექტრონული ჟურნალებით, ონლაინ პლატფორმებითა და სოციალური ქსელებით. ეს მრავალფეროვანი

მიდგომა უზრუნველყოფს, რომ მშობლები მუდმივად ინფორმირებულნი იყვნენ მოსწავლის აკადემიური პროგრესისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ.

ამასთანავე, დოკუმენტში მკაფიოდაა განსაზღვრული მხარეთა უფლება-მოვალეობები, რაც ხელს უწყობს პასუხისმგებლობების განაწილების გამჭვირვალობას და თანამშრომლობის კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლა აქტიურად მოუწოდებს მშობლებს ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში, მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა აქტივობაში და ამ გზით გახდნენ სასწავლო პროცესის თანაზიარნი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლის მოსწავლის მშობელთან კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც თანხვედრაშია სკოლის სხვა დოკუმენტებთან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- სკოლისა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლაში მოქმედი „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები" წარმოადგენს კომპლექსურ დოკუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული მექანიზმების გამჭვირვალობას. მაგალითად, წესში განსაზღვრული

ჩარიცხვის პროცესი სრულად არის ინტეგრირებული ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან, რაც გამორიცხავს სუბიექტურ გადაწყვეტილებებს და ეფუძნება მკაცრად განსაზღვრულ ეტაპებსა და ვადებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, სკოლის მიერ წარდგენილი მოსწავლის პირადი საქმეებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისია. ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგენილი მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობის წარმოდგენილი ბრძანებებით კი დგინდება, რომ სკოლა იცავს აღნიშნულ პროცედურებს და შესაბამისია ინდიკატორთან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა მონაწილეობს სხვადასხვა ტიპის პროექტებში, რომლებიც მიზნად ისახავს არაფორმალური განათლების ხელშეწყობასა და მოსწავლეთა უნარების განვითარებას. აღნიშნული პროექტები რეგულარულად შუქდება სკოლის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე, რაც უზრუნველყოფს როგორც სკოლის საზოგადოების, ასევე ფართო აუდიტორიის ინფორმირებულობას და ჩართულობას. ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს დამატებით მომსახურებებს არ სთავაზობს,

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა წარმატებით უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას პროგრამების, სერვისების, აქტივობებისა და რესურსების შესახებ, რომელიც შეესაბამება კანონმდებლობას, არის გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ეს ხელს უწყობს ნდობის ჩამოყალიბებას სკოლასა და საზოგადოებას შორის, უზრუნველყოფს თანასწორი შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას და ქმნის ინკლუზიურ გარემოს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების და აღდგენის ბრძანებები;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- სკოლის ვებ-გვერდი/სოციალური გვერდი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლაში ჩამოყალიბებულია მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ეფექტური სისტემა, რომელიც ინტეგრირებულია სკოლის შინაგანაწესსა და მშობელთან ურთიერთობის დებულებაში. სკოლა მიზნად ისახავს, დაეხმაროს თითოეულ მოსწავლეს, განსაკუთრებით კი ახლად ჩარიცხულებს, სწრაფად და უმტკივნეულოდ შეეგუონ სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. მაგალითად, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი ადაპტაციის მექანიზმები ითვალისიწნებს ადმინისტრაციული და საინფორმაციო მხარდაჭერას-მჭიდრო თანამშრომლობას სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგიურ კოლექტივს შორის. საქმისმწარმოებელი და დირექტორის მოადგილე უზრუნველყოფენ, რომ კლასის დამრიგებელს ოპერატიულად მიეწოდოს სრული ინფორმაცია ახალი მოსწავლის შესახებ, მათ შორის წინა სკოლიდან მიღებული პირადი საქმე ან უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტები. ეს საშუალებას აძლევს დამრიგებელს, წინასწარ

განსაზღვროს მოსწავლის საჭიროებები და დაგეგმოს ინდივიდუალური მიდგომა. სასკოლო საზოგადოებასთან წარმატებული კომუნიკაციის დამყარების მიზნით, დამრიგებელი ასრულებს მთავარ როლს ახალი მოსწავლის სოციალიზაციაში. იგი პირველივე სადამრიგებლო საათს ან დასვენებას იყენებს მოსწავლის კლასისთვის წარსადგენად, აძლევს მას თვითპრეზენტაციის შესაძლებლობას და ხელს უწყობს თანაკლასელებთან დაახლოებას. გარდა ამისა, დამრიგებელი ახალ მოსწავლეს აცნობს საგნის მასწავლებლებს, რაც აადვილებს საგაკვეთილო პროცესში მის ჩართვას. სკოლა მუდმივ რეჟიმში ახორციელებს დეზადაპტაციის ნიშნების მონიტორინგს. დამრიგებელი ინარჩუნებს აქტიურ კავშირს მშობლებთან, რათა მიიღოს ინფორმაცია მოსწავლის განწყობისა და შესაძლო სირთულეების შესახებ. მშობელთან ურთიერთობის დებულება ავალდებულებს პედაგოგებს, ნებისმიერი პრობლემის განხილვა დაიწყონ პოზიტიური აქცენტებით, რაც ამცირებს სტრესს და ზრდის ნდობას. სკოლა ასევე ატარებს საგანმანათლებლო შეხვედრებს ისეთ თემებზე, როგორიცაა ბულინგი და ეფექტური კომუნიკაცია, რაც ქმნის უსაფრთხო გარემოს ადაპტაციისთვის. ამრიგად, სკოლაში არსებული მექანიზმები უზრუნველყოფს მოსწავლის ფსიქო-სოციალურ და აკადემიურ მხარდაჭერას, რაც ქმნის ოპტიმალურ პირობებს სასწავლო გარემოსთან სწრაფი შეგუებისთვის.

ინდიკატორი შესაბამსიობაშია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლაში სწავლის დაწყების მომენტიდან მოქმედებს მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშემწყობი მრავალკომპონენტიანი სისტემა, რომელიც ორიენტირებულია პოზიტიური საგანმანათლებლო განწყობის შექმნასა და ბავშვის ფსიქო-სოციალურ მხარდაჭერაზე. პროცესი ეფუძნება კომპლექსურ მიდგომას, სადაც წამყვან როლს კლასის დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლების პროფესიული დამოკიდებულება ასრულებს. მოსწავლეებთან გასაუბრებისას ნათლად გამოჩნდა, რომ სკოლის მიერ შეთავაზებული ადაპტაციის მექანიზმები პრაქტიკული და მოსწავლეზე ორიენტირებულია.

ინდიკატორი შესაბასმიობაშია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლაში დანერგილია მოსწავლის შეფასებისა და უკუკავშირის მრავალმხრივი, სისტემური და გამჭვირვალე მექანიზმები. დაწესებულება უზრუნველყოფს მოსწავლის განმავითარებელი შეფასების რეგულარულ და ინდივიდუალურ მიწოდებას როგორც თავად მოსწავლისთვის, ასევე მშობლისა და კანონიერი წარმომადგენლისთვის. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლის მიერ განხორციელებული როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება ხელმისაწვდომია ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით, რაც ზრდის პროცესის გამჭვირვალობასა და დროულობას. საჭიროების შემთხვევაში, საგნის მასწავლებლები ატარებენ საკონსულტაციო შეხვედრებს მოსწავლეებთან, რაც მიუთითებს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ მხარდაჭერასა და სწავლების პროცესის გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ მიდგომაზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სსიპ ქალაქ თბილისის N168 საჯარო სკოლა სრულად უზრუნველყოფს სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობასა და გამჭვირვალობას. სკოლა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში აწვდის ყველა დაინტერესებულ პირს ამომწურავ ინფორმაციას სასწავლო პროცესის ორგანიზაციულ საკითხებზე. ინფორმაციის გაზიარება მოიცავს თემებს, როგორიცაა: სასწავლო წლის დაწყებისა და დასრულების ვადები, არდადეგების განრიგი და ხანგრძლივობა, მობილობის ვადები და მასთან დაკავშირებული შესაძლო შეზღუდვები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ექსტერნატის ფორმით გამოცდების ჩატარების წესებისა და ვადების გაცნობას, ასევე სკოლის მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო სერვისების მისაღებად საჭირო პროცედურებისა და აქტივობების დეტალურ აღწერას გამჭვირვალე საკომუნიკაციო სტრატეგია ხელს უწყობს ნდობაზე დაფუძნებული გარემოს ჩამოყალიბებას, სადაც სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი სრულყოფილად ფლობს ინფორმაციას საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს მოსწავლეთა ინიციატივებზე დაფუძნებულ სასკოლო პროექტებზე, რაც მათი ლიდერული უნარების განვითარებას უწყობს ხელს. სკოლის მიერ წარმოდგენილი მრავალფეროვანი პროექტები ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორიცაა ადრეული ქორწინება, გენდერული თანასწორობა, ბულინგი და ჯანსაღი ცხოვრების წესი, უზრუნველყოფს მოსწავლეთა თვითრეალიზაციასა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებთან ინტერვიუების დროს მათ ხაზგასმით აღნიშნეს საკუთარი ჩართულობის მნიშვნელობა და გამოხატეს კმაყოფილება სკოლის მხრიდან მათი იდეების მხარდაჭერის გამო.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა უკუკავშირს, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური აქტივობებისა და შეთავაზებული სერვისის მიწოდების პროცესში. მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად და მოსწავლეთა მომსახურების გასაუმჯობესებლად, სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები და აწარმოებს გამოკითხვებს. მოსწავლეები და მშობლები დირექციასთან და დამრიგებლებთან აფიქსირებენ თავიანთ ხედვებს, გამოცდილებას, სურვილებს. სკოლა ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში გათვალისწინებულია მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის მიღების მეთოდები და შესაბამისი პირი ან სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის დამუშავებას. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და სასკოლო სასწავლო გეგმა, ისევე, როგორც სკოლის რეგულაციათა უმრავლესობა, ითვალისწინებს მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების სისტემების არსებობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- არაფორმალური განათლების ამსახველი დოკუმენტები;
- სასკოლო პროექტები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთათვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობა დასტურდება პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით. მაგალითად, შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA”-სთან გაფორმებული მემორანდუმი, რომლის მიზანსაც სწორედ მოსწავლეებში პროფესიული ორიენტაციის კუთხით ცნობიერების ამაღლება და არაფორმალური აქტივობების წახალისება წარმოადგენს. აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინფორმირებას პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ, აღნიშნულ პროცესს აძლიერებს მჭიდრო თანამშრომლობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტთან. აღნიშნული მემორანდუმები, სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკის პარალელურად, ითვალისწინებს ერთობლივი აქტივობებისა და ღონისძიებების დაგეგმვას. ეს მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, უშუალო კავშირი ჰქონდეთ აკადემიურ გარემოსთან, მონაწილეობა მიიღონ საუნივერსიტეტო პროექტებში და მიიღონ კომპეტენტური ინფორმაცია სამომავლო საგანმანათლებლო გზების შესახებ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლაში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მომსახურება ხორციელდება. პროცესში აქტიურად არიან ჩართულები კლასის დამრიგებლები, რომლებიც, ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის დაცვით, პერმანენტულად ახორციელებენ მოსწავლეთა ინფორმირებას მათი ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, დაწესებულება ეფექტურად იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა არხს:

- **შიდაორგანიზაციული** - საკლასო შეხვედრები და ჯგუფური კონსულტაციები, სადაც ხდება კარიერული შესაძლებლობების განხილვა;
- **ციფრული რესურსები:** სკოლის ოფიციალური სოციალური გვერდები, სადაც ვრცელდება ინფორმაცია საგანმანათლებლო სიახლეებისა და პროფესიული ორიენტაციის პროგრამების შესახებ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარე ქმნის კითხვარებს, პერიოდულად აწარმოებს გაწეული მუშაობის კვლევას. ამზადებს კითხვარებს მშობლებისთვისაც, ხოლო მიღებული შედეგების გათვალისწინებით გეგმავს მომდევნო წლის აქტივობებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მემორანდუმები;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- მშობელბთან შეხვედების ამსახველი დოკუმენტაცია.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში ვხედავთ რომ სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მკაფიოდ ჩამოყალიბებული მექანიზმი, რომელიც მოიცავს როგორც ადმინისტრაციულ, ასევე პედაგოგიურ და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას, ინდივიდუალურ მიდგომებს, მშობლისა და სპეციალისტების ჩართულობას, რესურსების უზრუნველყოფას და ინკლუზიური განათლების თანამედროვე პრინციპების დაცვას. მაგალითად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის აღმწერი პროცესები, ალტერნატიული მეთოდები და მხარდაჭერა, შეფასების სისტემა, ფიზიკური გარემოს ადაპტირების გაუმჯობესების მექანიზმები, ასევე სკოლის ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის ამსახველი მასალები, კითხვარები იძლევა შეფასების საშუალებას, რომ სკოლას აქვს ჩამოყალიბებული მექანიზმი სსსმ მოსწავლეებთან მუშაობისთვის, რომელიც მოიცავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, მრავალპროფილური სამუშაო ჯგუფის შექმნას, პროცესის მონიტორინგს, მშობლებისა და სპეციალისტების ჩართულობას, რესურსების უზრუნველყოფას და სისტემურ კომუნიკაციას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სასკოლო სასწავლო გეგმაში მკაფიოდ არის ხაზგასმული, რომ სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და განხორციელება ხდება მულტიდისციპლინური გუნდის მონაწილეობით. ამ ჯგუფში შედიან: კლასის დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი, მშობელი და საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციალისტები. ასევე, დოკუმენტში ნათქვამია, რომ მშობელი აქტიურად არის ჩართული როგორც ისგ-ის შემუშავებაში, ასევე მისი განხორციელების მონიტორინგში. სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვას, მოსწავლეთა შორის თანამშრომლობას, ჯგუფურ მუშაობას, პროექტებში მონაწილეობას და საერთო პასუხისმგებლობის განცდას, ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის სპეციალური პედაგოგებთან ინტერვიურებითაც ჩანდა, რომ აღნიშნული პროცესების იმპლემეტაცია ხდება წარმოდგენილი მექანიზმების მიხედვით, ხოლო კითხვარში ჩანს, რომ როგორც მშობელი, ასევე სპეციალური მასწავლებელი აქტიურად არიან ჩართულნი სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესში, გადაწყვეტილებების მიღებაში, ინდივიდუალური გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში. მშობელი ადასტურებს, რომ ისგ ჯგუფი იკრიბება საჭიროებისამებრ, მასწავლებლები ქმნიან მოსწავლეზე მორგებულ აქტივობებს, სკოლა უზრუნველყოფს საჭირო რესურსებს და კომუნიკაცია ყველა მხარესთან სისტემურია.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სპეციალური მასწავლებლების პორფოლიოები;

- ინკლუზიური განათკების სამოქმედო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით არ აქვს გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო/სააღმზრდელო მომსახურება. სკოლას გაიჯარებული აქვს ფართი: სკოლის კვებისთვის. ასევე, იჯარით აქვს გაცემული სკოლის სარგებლობაში არსებული ფართი, რომლებშიც ფუნქციონირებს ცეკვის წრე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის 10 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმი #9, რომელშიც განხილულია მომდევნო წლის ბიუჯეტი და ფინანსური ანგარიშგება. აღნიშნულ ოქმში განხილულია ეკონომიკური შემოსავლებით მიღებული ფინანსები, იჯარით გასაცემი ფართებიდან მიღებული სარგებლის შესახებ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლაში არსებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების გაწევის პროცესში გათვალისწინებულია უსაფრთხოების ზოგადი წესები. სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესები რეგულირდება შინაგანაწესით, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად სკოლის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირისთვის. უსაფრთხოების ნორმები რეგულირდება, მშობელთან და მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, რომელშიც გაწერილია სკოლის ვალდებულებები გააკონტროლოს და დაიცვას

მოსწავლის უსაფრთხოება სასწავლო პროცესის განმავლობაში, ხოლო დასაქმებული უზრუნველყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოთი.

ინდიკატორი შესაბიმისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფინანსური დოკუმენტაცია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური ზოგადსაგანმანთლებლო პროგარამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია,სადაც გაწერილი აქვს, თუ როგორ ხდება სკოლაში კურიკულუმის განვითარების პროცესი.მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში კურიკულიმის განვითარება ხდება სასკოლო საზოგადოების წევრთა აქტიური ჩართულობით, მათ შორის როგორც მოსწავლეთა,ასევე მშობლების, და მასწავლებელთა დონეზე. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, მნიშვნელოვანია მასწავლებელმა აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, (მაგალითად, მშობელთა ინფორმირების გზა შეიძლება იყოს კურიკულუმის სკოლის საიტზე ატვირთვა, ელექტრონული ჟურნალით ან სასწავლო პროცესის მართვის სისტემით (LMS) ინფორმაციის გაზიარება, მათთან კომპლექსური დავალების ბარათების გაგზავნა და სხვა). ასევე, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით. მონაწილეობა მიიღოს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და მუშაობის პროცესში გაითვალისწინოს რეკომენდაციები, რომლებსაც კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია შეიმუშავებს. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს დროს ასევე გამოვლინდა, რომ მშობელთა კრებებზე, კათედრის სხდომებზე,სასკოლო საზოგადოების წევრები განიხილავენ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია,რომლის მიხედვითაც სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, მშობელთა

ჩართულობისთვის სკოლა მიმართავს სხვადასხვა მეთოდს (მაგალითად, მშობელთა ინფორმირების გზა შეიძლება იყოს კურიკულუმის სკოლის საიტზე ატვირთვა, ელექტრონული ჟურნალით ან სასწავლო პროცესის მართვის სისტემით (LMS) ინფორმაციის გაზიარება, მათთან კომპლექსური დავალების ბარათების გაგზავნა და სხვა). სკოლას მუდმივი კომუნიკაცია აქვს სასკოლო საზაოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელთან, სკოლას შემუშავებული აქვს სამივე საფეხურის კურიკულუმი(დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურები) .შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებზე.მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ მათ ჰყავთ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეები,რომელთა ინტერესების გათვალისწინებაც ხდება სასკოლო კურიკულუმზე მუშაობის პროცესში.სკოლამ კითხვარების საშუალებით გამოიკვლია სასკოლო საზოგადოების წევრთა საჭიროებები, გამოწვევები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლაში სამივე საფეხურის კურიკულუმის შემუშავება ხდება სასკოლო საზოგადოების მიერ. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ როგორც მოსწავლეებთან ერთად, ასევე, მშობელთა კრებებზე,და კათედრის სხდომებზე მიმდინარეობს მუშაობა კურიკულიმის განვითარებაზე. სკოლას ასევე, წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია,სადაც აღწერილია, თუ როგორ შეიძლება ჩაერთოს სასკოლო საზოგადოების კონკრეტული წარმომადგენელი სკოლის კურიკულუმის შემუშავებაში, კონკრეტულად, მაგალითად მასწავლებლის დონეზე, სადაც მასწავლებელმა, მნიშვნელოვანია, აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით.მასწავლებელი ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, (მაგალითად, მშობელთა ინფორმირების გზა შეიძლება იყოს კურიკულუმის სკოლის საიტზე ატვირთვა, ელექტრონული ჟურნალით ან სასწავლო პროცესის მართვის სისტემით (LMS) ინფორმაციის გაზიარება, მათთან კომპლექსური დავალების ბარათების გაგზავნა და სხვა).

ინდიკატორი შესაბამისიობაშია.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენლისათვის. კლასის დამრიგებლები მშობლებს მშობელთა კრებაზე აცნობენ სასკოლო კურიკულუმს. სკოლაში მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიღების დღეებია ყოველი პარასკევი 13:00-დან 17:00 საათამდე (გარდა წინასწარ დაბარებული პირებისა).გარდა ამისა,სკოლა, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის გასაზიარებლად იყენებს კურიკულუმის სკოლის საიტზე ატვირთვას, ელექტრონული ჟურნალით ან სასწავლო პროცესის მართვის სისტემით (LMS) ინფორმაციის გაზიარებას, მშობლებთან კომპლექსური ტიპის დავალების ბარათების გაგზავნას და ა.შ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
- ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**საბუნებისმეტყველო კათედრის სამივე საფეხურის** კურიკულუმებში გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო თემის სწავლება, საკითხები დალაგებულია ისე , რომ მოსწავლსათვის შედეგის მიღწევა უფრო ხელსაყრელი იყოს კურიკულუმში შუალედური სასწავლო მიზნების მისაღწევად დაგეგმილია კომპლექსურები, პროექტები ან სხვა შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა. სასწავლო პროცესი თანხვედრაშია საგნობრივ კურიკულუკუმთან, რაც დადასტურდება შესრულებული აქტივობების საფუძველზე, (შემოქმედებითი პროდუქტის ამსახველი ფოტო მასალა, შესრულებული დავალების ნიმუშები, რეფლექსიები.) სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია მეორე სტანდართან მიმართებით, კონკრეტულად ინდიკატორი 2.1.2.1 გაზიარებულია ექპსრეტთა მიერ. და შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი. **ინდიკატორის შესაბამისობაშია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმის ანალიზისას ცხადია დოკუმენტი ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების საფუძველს, პროცესს და კონკრეტულ მიდგომებს. **სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში** კარგად ჩანს პედაგოგების მიერ სტანდარტის შესაბამისი დაგეგმვის უნარი. **რჩევა:** გასათვალისწინებელია, რომ კურიკულუმში აისახოს სტანდარტით განსაზღვრულ ყველა თემაში ყველა ცნების დამუშავება (,,მოქალაქეობა“, IX კლასი, არ მუშავდება ცნება ,,სამოქალაქო მონაწილეობა’). უმჯობესია, კურიკულუმში იყოს მითითებული თემიდან გამომდინარე დამატებითი რესურსები და შესაბამისი ბმულები. ბმულების უმეტესობა არ იხსნება, შესაბამისად იკარგება მისი მიზნობრიობაც (,,ისტორია“, VII კლასი, ,,მე და საზოგადოება“ III, IV კლასი, ,,ჩვენი საქართველო“ V კლასი), გაუმჯობესდეს კურიკულუმის სტრუქტურა, რათა ჩანდეს მიმართებები (სამიზნე ცნება, საკითხი, რესურსები). სასურველია ამ მიმართულებით უფრო კოორდინირებული თანამშრომლობა კათედრის წევრებს შორის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი უცხოური ენების სამივე საფეხურის საგნობრივი პროგრამებიდან ჩანს, რომ ისინი დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს ასევე მოსწავლის პიროვნული განვითარებაც. საგნობრივ პროგრამებში წარმოდგენილ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციების შესრულებას, რომლებიც მიემართება ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. აღნიშნულზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად და აქვთ მზაობა, რომ გლობალური ფუნქციური უნარები

	განიხილონ უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად (და არა სასწავლო მიზნებად); **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი **დაწყებითი საბაზო და საშუალო საფეხურის** მუსიკის საგნობრივი კურიკულუმები მათ შორის სავალდებულო პროექტებით სწავლების მუსიკის საგანში მიემართება სასწავლო გეგმის გრძელ ვადიან მიზნების და სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, დოკუმენტებიდან იკვეთება რომ სასწავლო შედეგები მიიღწევა შუალედური მიზნებისა და სამიზნე ცნებების გააზრებით. ჩანს რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული და ასახავს დაგეგმვისა და განვითარების გზას. რაც შეეხება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივ კურიკულუმებში შეინიშნებოდა სამივე საფეხურის ზოგიერთ კლასებში უზუსტობები, რომლებიც სკოლასთან ვიზიტისას მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ იქნა გამოსწორებული და მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	**სამივე საფეხურზე** სახელმწიფო ენის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმი არის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა, ამას მოწმობს ის შუალედური მიზნები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები, რომლებიც სახელმწიფო ენის კურიკულუმის ცხრილებშია ასახული. მაგალითად, ლომის წერილი თაგვს-იაკობ გოგებაშვილის იგავის ,,თაგვი და ლომის“ მიხედვით - მე-2 კლასი; პირადი მოსაზრების გამოთქმა ნასწავლ ტექსტებთან მიმართებით (,,გულისს ითბო’’ (ნ. ბეზარაშვილი) ,,ხისმაცქერალი კაცის ამბავი’ (გ. ტოგონიძე),,პატარა ბიჭების ფიქრები (რ. ინანიშვილი))-მე-4 კლასი; იგავის შექმნა შერჩეული ანდაზის საფუძველზე - მე-5 კლასი; შთაბეჭდილებებისა და დამოკიდებულებების ამსახველი ჩანახატის შექნა -მე-6 კლასი; ანოტაციის დაწერა წაკითხული წიგნის ან მოთხრობის შესახებ - მე-6 კლასი; ესეს დაწერა თემაზე: ,,ერთი სიცოცხლე-ორი სამშობლო“ ნოდარ დუმბაძის ნასწავლი მოთხრობის HELLADOS“ მიხედვით - მე-8 კლასი; დღიურის შექმნა სახელწოდებით ,,შუშანიკის დღიოური“ იაკობ ცურტაველის ნაწარმოების მიხედვით - მე-10 კლასი; ანალიტიკური ესე ვაჟა-ფშაველას პოემაზე ,,ალუდა ქეთელაური“ დაყრდნობით თემაზე: ,,შურისძიებიდან მიტევებამდე--ალუდა ქეთელაურის სულიერი განვითარების გზა“ - მე-11 კლასიდა სხვა

	გარდა ამისა, პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ საგნის სწავლა-სწავლების პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, ფიზიკურ, ფსიქიკურ მახასიათებლებს, ემოციურ ინტელექტს. სასწავლო გარემო არის პოზიტიური და მაქსიმალურად მორგებული მოსწავლეთა საჭიროებებზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნა, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	შემუშავებული კურიკულუმები (სამივე საფეხურისთვის), ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან. მათში შეტანილი სასწავლო თემები, ითვალისწინებს მოსწავლის საჭიროებებს და მორგებულია სკოლის შესაძლებლობებზე. წარმოდგენილი კურიკულუმებით სასწავლო პროცესის წარმართვა, ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებასა და საფეხურეობრივი სტანდარტის შესაბამის მოსალოდნელ შედეგზე გაყვანაას. კურიკულუმის ჩარჩოში იყო შინაარსობრივი უზუსტობა, რაც აღინიშნა ინტერვიუსას და გაითვალისწინებენ პედაგოგები . მათ მიიღეს ასევე რჩევა სამომავლოდ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა:** სამომავლოდ სასურველი იქნება, რომ ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო იყოს ერთნაირი, შეთანხმებული დიზაინით (**დაწყებითი საფეხური)** **რჩევა:** სამომავლოდ სასურველი იქნებოდა, რომ სასკოლო კურიკულუმის შედგენისას პედგოგებმა თავი შეიკავონ სასწავლო პროცესში იმ სასწავლო თემის შეტანისაგან, რომლის განხორციელებაც შესაძლოა გაუჭირდეთ ამ ეტაპზე სათანადო ინვენტარის არ ქონის გამო. მაგალითად სპეციალური მაგიდა მაგიდის ჩოგბურთისათვის. **(საბაზო და საშუალო საფეხურები).**

ტექნოლოგიები	მტკიცებულებით წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმები არის ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით შემუშავებული, ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედურ მიზნად განიხილება და უპირატესობა ენიჭება შემოქმედებითი ბუნების დავალებებს, რომელთა შესრულებაც მოსწავლეს უღვივებს ცნობისმოყვარეობას, ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარის განვითარებას. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებელთან ინტერვიუს დროსაც გამოჩნდა, რომ მას გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, ერთმანეთთან ურთიერთმიმართება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება), საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმების განხორციელებისას მასწავლებლებს გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმილი აქვთ შემოქმედებითი დავალებებით სწავლება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმებში ეროვნული საწავლო მიზნები შესაბამისობაშია შესასწავლ თემებთან და საკითხებთან.. აქტივობები დაგეგმილია ეროვნული სასწავლო მიზნების შესაბამისად., საგნის საათობრივი დატვირთვა შესაბამისობაშია ესგ-ს სტანდართან. თემის/ საკითხის შესასწავლად გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს შედეგის მღწევას. საგნობრივი

	აქტივობები შესაბამისობაშია თემასთან და საკითხთან რაც მოსწავლეს გაუადვილებს საკითხის გააზრებას (კვლევა , კომპლექსური დავალება, პროექტი) სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია მეორე სტანდართან მიმართებით, კონკრეტულად ინდიკატორი 2.1.2.2 გაზიარებულია ექპსრეტთა მიერ და შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა:** მე-7 კლასის ფიზიკის კურიკულუმში მეორეთემის **,,თანაბარი და არათანაბარი მოძრაობა“** სამიზნე ცნებებიდან ამოღებული იქნას სამიზნე ცნება **,,ენერგია და ურთერთქმედება“** მე=8 კლასის ფიზიკის კურიკულუმში პირველი თემის **,,მექანიკური მოვლენები“** სამიზნე ცნებებიდან ამოღებული იქნას სამიზნე ცნება **,, მატერია“** მე-9 კლასის ფიზიკის კურიკულუმში პირველი თემის **,,არათანაბარი და მრუდწირული მოძრაობა“** სამიზნე ცნებებიდან ამოღებული იქნას სამიზნე ცნება **,,ენერგია და ურთერთქმედება“** მეორე თემის **,,სტატიკა და დინამიკა“** სამიზნე ცნებებიდან ამოღებული იქნას სამიზნე ცნება **,,მატერია“**.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმში ჩანს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან პირდაპირი კავშირი, საბოლოო მიზანთან შესაბამისობა და სამიზნე ცნებების გააზრება. კურიკულუმი ასახავს ზოგად და საგნობრივ კომპეტენციებს, შემოქმედებითი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში ანალიტიკური და ტრანსფერული უნარების განვითარებას. შუალედური მიზნები შერჩეულია სამიზნე ცნებების შესაბამისად. **რჩევა:** გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსური დავალების იდეა იყოს კონკრეტული. მაგალითად, ,,არგუმენტირებული ესეს დაწერა პირველ ჯვაროსნული ლაშქრობის შესახებ“ (,,ისტორია“, მე-8, 9 კლასი, ,,მოქალაქეობა“, მე-7 კლასი). მნიშვნელოვანია, რომ კომპლექსური დავალების იდეა იყოს კონკრეტული. მაგალითად, სტატიის დაწერა სახელწოდებით ,,როგორ ავირიდოთ კონფლიქტები“ (,,მოქალაქეობა“, მე-7 კლასი).

	ინდიკატორი შესაბამისობაშია.
უცხოური ენები	წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული შუალედური სასწავლო მიზნები და გრძელვადიანი მიზნები იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული პოზიტიურ სასწავლო გარემოზე. გრძელვადიანი მიზნები გაწერილია სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, რომლებიც მიემართება ესგ-ით გათვალისწინებულ საფეხურებრივ შედეგებს. უმეტეს შემთხვევებში წარმოდგენილი და აღწერილია ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი,თუმცა არის უზუსტობებიც. მაგ: ზოგ შემთხვევაში გამოყენებულია ძველი სამიზნე ცნებები. ასევე ზოგ შემთხვევაში სტანდარტიდან დეტალურად არის ჩაშლილი სამიზნე ცნებების ქვეცნებები დ ქვესაკითხები მოცულობითი რაოდენობით. **რჩევა:** სასურველია კათედრაზე შემუშავებული იყოს ერთი კურიკულუმის ჩარჩო, რომელიც გამოყენებული იქნება სამივე ენის მიერ (ინგლისური, რუსული, გერმანული). **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	**დაწყებით საბაზო და საშუალო საფხურზე** წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ძირითადად მუსიკის საგანში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნების სტანდარტების მოთხოვნებს. გამოკვეთილი იყო , რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული ესგ და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად , ჩანდა რომ საგნობრივი კურიკულუმები კათედრაზე შემავალი წევრების ერთობლივი ნამუშევარია, სადაც ასახულია ესგ და სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემატური ბლოკები, თემები სამიზნე ცნებები, ქვეცნებებიმ რესურსები , აქტივობები და შემოქმედებითი ტიპის დავალებებ. დაგეგმილი აქტივობები სასწავლო შედეგებისა და ფუნქციური უნარების განვთარებას უწყობს ხელს. დაწყებით საფეხურზე შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, სახალისო აქტივობები, რაც შეეხება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივ კურიკულუმებში შეინიშნებოდა მცირე უზუსტობები, ისინი აცდენილი იყო სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს, რომლის გამოსწორება სკოლასთან ვიზიტის და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ იქნა გამოსწორებული. დოკუმენტები თავიდან იქნა სამივე საფეხურზე დარედაქტირებული და ჩასწორებული გამოგზავნილი **რჩევა: დაწყებითი საფეხური**

	• მესამე და მეოთხე კლასში აკლია სავალდებულო თემატური ბლოკები, მოხდეს მისი შეცვლა სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად და ჩამატება კურიკულუმში. მაგალითად: თემატური ბლოკები: მე და გარესამყარო, ადამიანები და ხელოვნება, ხელოვნება ჩვენ გარშემო. • მეოთხე კლასში კურიკულუმის მესამე თავში ორჯერ მეორდება თემები და ყველა მისი სტრუქტურული ერთეული, მოხდეს მისი ცვლილება. • მეექვსე კლასის კურიკულუმში ყველა თემა გამოიყოს შესაბამისი ფორმით ჰორიზონტალური ხაზით ერთმანეთისაგან, რათა მოხდეს სამიზნე ცნებების, საკითხების, რესურსებისა და შემოქმედებითი ტიპის დავალებების ერთმანეთისაგან გამიჯნვა. **რჩევა: საბაზო საფეხურზე** • სასურველია მეცხრე კლასის ხელოვნების კურიკულუმმა მიიღოს ისეთივე სახე, ისე როგორც მეშვიდე და მერვე კლასებშია; **რჩევა : საშუალო საფეხურზე** 11 კლასის ხელოვნების კურიკულუმი - მასში მხოლოდ ერთი თემაა სწორად შემოტანილი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, კურიკულუმის ჩარჩოდ ნიმუშისთვის გამოყენებულია მეექვსე კლასის ჩარჩო და ტექნიკური შეცდომის გამო მასში მეექვსე კლასის სასწავლო პროგრამაა ჩარჩენილი, ის უნდა პასუხობდეს სავალდებულო პროექტებით სწავლების სტანდარტის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმები აკმაყოფილებენ ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათში წარმოდგენილია ყველა ძირითადი კომპონენტი: **თემები, საკითხები, შუალედური მიზნები, საგნის სწავლებისას მისაღწევი გრძელვადიანი მიზნები, საფეხურის შედეგები, ძირითადი და დამხმარე რესურსები.** ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები და კონკრეტული ნიმუშები გვაძვლევს იმის თქმის საშუალებას, რომ აღნიშნული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მოსწავლეთა მიღწევებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით აფასებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა	წარმოდგენილ კურიკულუმებში თემები, საკითხები, , რესურსები იძლევა შესაძლებლობას პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ კომპონენტურ უნარებზე. კურიკულუმი მიემართება ესგ-ით განსაზღვრულ მიზნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები (სამივე საფეხურისათვის) მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმას. აგებულია საგნის სამიზნე ცნებებსა და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგზე. მასში შეტანილია სასწავლო თემები საგნობრივი სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან. **ინდიკატორი შესაბამისიობაშია.**
ტექნოლოგიები	მტკიცებულებით წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების II-VI კლასების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტების მოთხოვნებს. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გააზრებულია გრძელვადიან მიზნებად. შუალედური სასწავლო მიზნები წარმოდგენილია შემოქმედებითი ბუნების დავალებების სახით, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად იყენებს ახალ ცოდნას, უნარებს და ღირებულებებს. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ , რომ დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება), საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ -ის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ყველა სამიზნე ცნება და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. მასწავლებლებმა წარმოადგინეს შემოქმედებითი დავალების

	პროდუქტები, განხორციელებული პროექტები, ღონისძიებები რომლებიც გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე და მოსწავლეებში ავითარებს კრიტიკულ და შემოქმედებითი აზროვნებას. სკოლის მიერ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი **ბუნებისმეტყველების,მათემატიკის,სახელმწიფო ენის** პირველი, მე-2, მე-3, მე-4 კლასების კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, კურიკულუმებში ასახული შუალედური მიზნები, აგრეთვე, საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	აქტივობების დაგემვა ხდება სკოლის ხელთ არსებული მატერიალური რესურსის შესაბამისად. სკოლა სასწავლო პროცესის წარმართვისათვის იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ბიბლიოთეკას, ვირტუალურ ლაბორატორიას, მოდელებს, პლაკატებს, კომპიუტერებს, პროექტორს, ქსეროქსს და სხვა მატერიალურ რესურსებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	ყველა საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსები სწორად და მიზნობრივად არის შერჩეული. ისინი მრავალფეროვანია და ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. პედაგოგები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ამასთანავე, მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი, რომელიც ხელს უწყობს ჩართულობაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განხორციელებას, უზრუნველყოფს სასწავლო მიზნებისა და შედეგების ეფექტურად წარმართვას.

	რჩევა: უმჯობესია, კურიკულუმში მითითებული იყოს ყველა საკითხის შესაბამისი რესურსი, მკაფიოდ აღინიშნოს, რომელი რესურსები და რა ფორმით გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში, რათა უკეთ შეფასდეს მათი შესაბამისობა და ეფექტიანობა სწავლის შედეგების მიღწევაში. ძირითად სასწავლო რესურსად მიეთითოს გრიფირებული სახელმძღვანელო (გამომცემლობა, გვერდები),) (,,მოქალაქეობა“ მე-10 კლასი, ,,გეოგრაფია“, მე-9, მე-11 კლასი). დამხმარე ინტერნეტრესურსების გამოყენების დროს საჭიროა, მიეთითოს შესაბამისი ბმული(,,ისტორია“ მე-8 კლასი), ინტერნეტრესურსების მითითების დროს გასათვალისწინებელია, რომ ეწეროს რესურსის სახელწოდება ან გაკეთდეს ჰიპერბმული, რომ უფრო მოსახერხებელი იყოს მასზე დაწკაპუნებით ბმულის გახსნა (,,ისტორია“, მე-10 კლასი, ,,მე და საზოგადოება“, მე-3, მე-4 კლასი, ,,ჩვენი საქართველო“, მე-5 კლასი, ,,გეოგრაფია“ მე-8, მე-11 კლასი). რესურსების სვეტში არ უნდა იყოს შემოქმედებითი დავალების იდეა და მისი განხორციელების ეტაპები (,,ისტორია“, მე-8 კლასი, მე-10 კლასი) დამატებით რესურსად როცა გამოყენებულია ტელესკოლის გაკვეთილი, საჭიროა მიეთითოს კონკრეტული გაკვეთილის ბმული და არა ზოგადად ტელესკოლის ჰეშთეგის (,,ისტორია“, მე-10 კლასი). შემოქმედებითი დავალებები ითვალისწინებს გარკვეულ პროდუქტზე მუშაობას, როგორიც არის სტატია, დღიური, სტატია, მოხსენება, პრეზენტაცია, სლაიდშოუ და ა. შ, მაგრამ უმეტესად არ არის მითითებული მეთოდური რესურსი, რომლის საშუალებითაც მოსწავლემ უნდა შეძლოს შემოქმედებით დავალებაზე მუშაობა. დამატებთ რესურსებში უნდა მიეთითოს ბმული, მაგალითად, როგორ შექმნას ბუკლეტი, როგორ დაწეროს არგუმენტირებული ესე და ა. შ. (,,მოქალაქეობა“, მე-8 კლასი). **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	უცხოურ ენების კურიკულუმით გათვალისწინებული ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის

	შედეგების მიღწევას. **რჩევა:** რესურსების ჩამონათვალი მიუთითეთ შესაბამისი რესურსების სვეტის ქვეშ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	**დაწყებით საბაზო და საშუალო საფეხურზე** სკოლას კათედრაზე განხილული აქვს და არჩეული ძირითად საგანმანათლებლო რესურსად გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო.(კათედრის ოქმი #1) საგნობრივ კურიკულუმებში შერჩეულია სასწავლო რესურსი, ელექტრონული რესურსები რომელიც ხელს უწყობს საკითხის/თემის სხვადასხვა კონტექსტში გააზრებას. კურიკულუმებში მოცემული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსები მიზნობრივად და სწორად არის შერჩეული მაგალითად: ილუსტრაციები, პლაკატები,სასწავლო ბარათები, მასწ, მიერ შექმნილი რესურსები სსმ მოსწავლეთათვის თვალსაჩინოებები, ელ რესურსები, რომლებიც ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეებში და მათ შორის სსმ მოსწავლეების შემოქმედებითი, კოგნიტური და აკადემიური უნარების განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები, მასწავლებელთა მიერ შექმნილი მატერიალური და ციფრული სასწავლო რესურსები, ინტერნეტ-რესურსები) უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებულია საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

სპორტი	სასწავლო პროცესის დაგეგმვისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სკოლაში არსებული მატერიალური რესურსით: ინფრასტრუქტურით და სპორტული ინვენტარით. პედაგოგები სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით, ინტერნეტ რესურსს სხვადსხვა საიტებიდან და პრეზენტაციებს სხვადსხვა თემაზე. ასევე დამხმარე ციფრულ რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით, საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	საგნობრივი კურიკულუმით გათვალისწინებული ძირითადი ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსია school.emis.ge და ასევე სხვა ელექტრონული რესურსები Scratch.mit.edu (ანიმაციებისა და თამაშების შექმნისთვის), Code.org (პატარებისთვის მარტივი თამაშებისა და ანიმაციების შესაქმნელად), რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა,ქართული,ბუნება), კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები: გრიფირებული სახელმძღვანელოები, განათლების სამინისტროს მოწოდებული და ინტერნეტ რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, თანდართული დოკუმენტაციის და ვიზიტის დროს გადმოგზავნილი გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება, რომ, კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ზემოთ აღნიშნული რესურსები ასახულია დაწყებითი **საფეხურის** საგანმათლებლო პროგრამის სახელმწიფო ენის,მათემატიკისა და **ბუნებისმეტყველების** პერველი, მე-2, მე-3, მე-4 კლასების კლასების კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში. აღსანიშნავია, რომ **ბუნებისმეტყველების საგნის** სწავლება შეუძლებელია ექსპერიმენტების და ცდების გარეშე, ამიტომ საბუნებისმეტყველო საგნის კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოებში, სასწავლო

	რესურსების სვეტში აუცილებელია მკაფიოდ აისახოს ვირტუალური ან/და ვიდეო ან/და **მარტივი** რეალური (ცოცხალი) ექსპერიმენტები და ცდები. **რჩება:სკოლის დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების ყველა კურიკულუმში, სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მკაფიოდ ასახონ მარტივი რეალური ან/და ვიდეო ან/და ვირტუალური ექსპერიმენტები ან/და ცდები, განისაზღროს დასახელება, მისი მათი სახეობა (მაგალითად, ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო, საშინაო) და ნუმერაცია. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილ დოკუმენტებში იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას და დიფერენცირებულ მიდგომას ყველა მოსწავლესთან. გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომელიც წარმოადგენს სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს, ითვალისწინებს მოსწვალის ინტერესებს, მის გამოციდლებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, რომელშიც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი. კურიკულუმში მოცემულია გარკვეული აქტივობები დიფერენცირებული სწავლების განხორციელებისთვის (მაგ. სხვადასხვა დავალებების შეთავაზება), წარმოდგენილია სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და შესრულებული დავალებები შეფასების

	რუბრიკებით, რაც მოწმობს სკოლის მოსწავლეზე ორიენტირებული მუშაობის საუკეთესო გამოცდილებას. **რჩევა:** სასურველია კურიკულუმის განხორციელების დროს ჩანდეს, საკლასო მუშაობისას როგორ ხდება საგაკვეთილო პროცესში შინაარსისა და დროის დიფერენცირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე არის დაგეგმილი. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, რადგან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებზე და ინდგეგმებზე მუშაობის გამოცდილება. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საერთო ჯამში, მასწავლებლებს აქვთ სწავლების დიფერენცირებული მიდგომის პრაქტიკა და სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვა. მათ აქვთ მზაობა რომ სასწავლო პროცესი დაგეგმონ და წარმართონ მოქნილ გარემოში, კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	**დაწყებით საბაზო და საშუალო საფეხურის** საგნობრივ პროგრამებში ჩანს რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომებით, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის მათ შორს სსმ მოსწავლეების ინტერესები და შესაძლებლობები, შექმნილოია მოსწავლის საჭიროებაზე შექმნილი დავალებები და აქტივობები, რომელიც ყველა მოსწავლის ჩართვას და ინტეგრაციას ითხოვს სასწავლო პროცესში, დოკუმენტებში ჩანს რომ ინდ გეგმებში პედაგოგები ახდენენ დავალებების მოდიფიცირებას და ამარტივებენ ისე რომ მოსწავლემ შეძლოს შედეგზე გასვლა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ აქვთ დიფერენცირებული სწავლების პრინციპების გათვალისწინების პრაქტიკა. მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე ხშირად უწევთ დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირება სწავლის სტილის გათვალისწინებით. გასაუბრებიდან ასევე გამოიკვეთა, რომ სახელმწიფო ენაში სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებსაც. პედაგოგებს აქვთ ინდ გეგმაზე მუშაობის გამოცდილება. რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი ინდგეგმებით. შეიძლება თამამად თქვას, რომ სკოლაში შექმნილია გარემო, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტაციით სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	კურიკულუმებიდან ჩანს და პედაგოგებმაც საუბრისას აღნიშნეს, რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესები მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და ფიზიკურ შესძლებლობებს, გაითვალისწინონ ნებისმიერი მოსწავლის ინტერესი და ჰქონდეთ დიფერენცირებული მიდგომები. თუმცა როგორც აღნიშნა გასაუბრებისას, სკოლის სსსმ მოსწავლე არ საჭიროებენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	მტკიცებულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების განხილვისას ჩანს, რომ საგნობრივი კურიკულუმების სტრუქტურა და კონცეფცია თავისი ბუნებით ხელს უწყობს ინკლუზიური განათლების პრინციპების რეალიზებას. შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრულია საფეხურის და არა კონკრეტული წლის ფარგლებში. შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტია შემოქმედებითი დავალება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება

	შესთავაზოს მათ, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსია მოამზადოს. ინტერვიუს დროს პედაგოგმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება), კურიკულუმში თვალნათლივ ჩანს, რომ მასწავლებლებს გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. პედაგოგებთან გასაუბრებამაც დაადასტურა, რომ მასწავლებლები მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენენ დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას სწავლის სტილის გათვალისწინებით. მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესის განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები. მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით აღსანიშნავია, რომ სკოლას დაწყებით საფეხურზე აქვს პედაგოგიური რემედიაციის გამოცდილება, რომელიც მიზნად ისახავდა მოსწავლეთა აკადემიური წარუმატებლობის თავიდან აცილებას. ინტერვიუდან ირკვევა, რომ კურიკულუმის კორექციის პროცესი იყო ბავშვის ტემპზე ადაპტირებული და სპეციალური მეთოდების გამოყენებაზე დაფუძნებული. აღსანიშნია ის, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში, როგორიც არის შემოქმედებითი ბუნების დავალებები და შემაჯამებელი დავალებებში, არ იკვეთება მკაფიო ტენდენცია დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომების მიმართ, ამიტომ სკოლას ეძლევა რჩევა: **დაწყებითი საფეხურის** ,I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება)საგნების **შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნების დავალებების პირობების შექმნისას მკაფიოდ გამოკვეთონ დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები.** **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა იყენებს სამ კოპონენტიან შეფასებას, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ფასდებიან, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასებით, დაწყებით საფეხურზე განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება მე-5 კლასში მეორე სემესტრიდან მე-6 კლასში კი მთელი წლის განმავლობაში, დანარჩენი კლასები ფასდებიან განმავითარებელი შეფასებით. პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. საუბრისას აღინიშნა, რომ კვლავაც გააგრძელებენ რუბრიკების შექმნასა და დახვეწას . როგორც აღნიშნეს ყველა რუბრიკას მოარგებენ სტანდარტსა და შესასრულებელ აქტივობებს განმავითარებელი შეფასების მიცემისას ძირითადად იყენებენ ზეპირ ფორმას, თუმცა საჭიროების შემთხვევაში გააკეთებენ წერილობითი ფორმითაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელ შეფასებას; მოსწავლეებს აფასებენ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი სამუშაოს კომპონენტებით, თუმცა, წარმოდგენილი შეფასების სისტემა უპირატესად ზოგად ხასიათს ატარებს. **რჩევა:** უმჯობესია, განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასების რუბრიკებს ყოველთვის ახლდეს თემის, საკითხის და ცნების დასახელება. სასურველია, განმსაზღვრელი რუბრიკის კრიტერიუმებში ჩანდეს თემის ფარგლებში მიღწევის ინდიკატორის შესაბამისობა საგნობრივ ცნებასთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ გამოიყენება როგორც განმავითარებელი (I-XII კლასები), ისე განმსაზღვრელი შეფასება (V-XII კლასები). შეფასების კრიტერიუმები პირდაპირ კავშირშია სამიზნე ცნებებთან, ხოლო ინსტრუმენტები ზომავს როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან მიზნებს **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	**დაწყებითი საბაზო და საშუალო საფეხურზე** სკოლის მიერ იქნა გადმოგზავნილი მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები სამინისტროს მიერ სასწავლო გეგმით შემოთავაზებული სარეკომენდაციო შეფასების რუბრიკები, ასევე როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი, რომლებიც შეესაბამება ესგ მიზნებს. დოკუმენტებიდან ჩანს რომ მოსწავლეთა შეფასებისას პრიორიტეტი მინიჭებული აქვთ შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, რომელთა შესრულებისას მოსწავლე მიღებულ ცოდნას გამოიყენებს პრაქტიკაში, დოკუმენტებში ჩანს რომ შეფასების მიზანია შედეგების გაზომვა გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების მაგ:(სამიზნე ცნებების და ქვეცნებების) გამოყენებით კონკრეტულ თემასა თუ საკითხთან მიმართებაში. სკოლა მოსწავლეებს აფასებს, შემაჯამებელი დავალებებით, პრეზენტაციებით, პროექტებით, და სხვა . შეფასების რუბრიკების ფორმა სკოლის დოკუმენტებში ჩანს რომ განხილულია კათედრაზე და შეთანხმებულია ადმინისტრაციასთან გაცნობილია მოსწავლეებისთვის და დაინტერესებული პირებისთვის(კათედრის სხდომის ოქმი #1) **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	მოსწავლეთა შეფასების სისტემა უმეტესად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ამას ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი კონკრეტული დავალებების შეფასების კრიტერიუმები, მაგალითად, შემოქმედებითი დავალებაზე (ხელნაკეთი თოჯინის დამზადება და აღწერა) მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც მიემართება გრძრელვადიან მიზნებს - მე 2 კლასი; განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა(დაწყებითი საფეხური) შემაჯამებელი წერისთვის; საბაზო საფეხურზე განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები ზეპირმეტყველებასა და საპრეზენტაციო უნარებში; საშუალო საფეხურზე საკლასო მსჯელობაში მონაწილეობის შეფასების რუბრიკა. ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან და ამოცანებთან თანხვედრაშია სახელმწიფო ენაში სკოლის მიერ წარმოდგენილი ისეთი შეფასების რუბრიკები, როგორებიცაა: განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა შემაჯამებელი დავალებისათვის (საბაზო საფეხური); წერის უნარის განმსაზღვრელი

	შეფასების რუბრიკა (საბაზო საფეხური); წერის უნარის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა (საშუალო საფეხური) **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	ატვირთულ დოკუმენტაციაში მოცემული შეფასების სისტემა შეესაბამება ესგ-ით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს. დასკვნის სახით აღვნიშნავ, რომ სკოლას აქვს მზაობა შექმნას განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შესაფასებლად, პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი ტიპის შეფასების რუბრიკები. ისინი შეესაბამება ესგ-ს მოთხოვნებს და შედგენილია ისე რომ, მასში გაწერილი კრიტერიუმები აფასებს თითოეულ სამიზნე ცნებას საგნობრივი სტანდარტის მიხედვით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** **რჩევა:** სამომავლოდ სასურველი იქნება შეფასების რუბრიკები შეიქმნას, კურიკულუმით გაწერილი სხვა თემების მიხედვითაც. (სამივე საფეხურითვის). **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე მტკიცებულების სახით წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები შეფასებას აკეთებენ სამიზნე ცნებების გათვალისწინებით, მნიშვნელობას ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებს გაიაზრონ მიღწეული და მისაღწევი შედეგები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა,ქართული,ბუნება), კურიკულუმში წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები ნაწილობრივ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, გრძელვადიან მიზნებთან და მეთოდიკურ ორიენტირებთან. გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და საგნების მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის I თავის - „სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების კონცეპტუალური და ადმინისტრაციული საკითხების“ მე-7 მუხლით გასაზღვრულ მოსწავლის შეფასების სისტემის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლას ეძლევა რჩევა: **დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების სახეელმწიფო ენა,მათემატიკა,ბუნებისმეტყველების სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე, სრულად მოამზადონ დაწყებითი საფეხურის შერჩეული თემების ან/და საკითხების/ქვესაკითხების მიმართებით, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; შეიქმნას შემაჯამებელი დავალებების შეფასების სქემა, სადაც შეფასების კრიტერიუმები, ორიენტირებული იქნება სამიზნე ცნებებზე.** **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის სამომედო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- სსსმ მოსწავლეთა მოდიფიცირებული დავალებების ნიმუშები;
- სსსმ მოსწავლეთა სწავლებაზე შიდა მონიტორინგის დასკვნა;
- შემაჯამებელი წერის ანალიზის ფორმა;
- შემოქმედებითი დავალებების დამადასტურებელი ნიმუშები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების რეფლექსიის ოქმი;

- ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსიის ფორმა;
- სავალდებულო პროექტების რეფლექსია;
- ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობის რუკა;
- კომპლექსური დავალების ბარათები და შეფასების რუბრიკები;
- სასწავლო რესურსების ჩამონათვალი საგნობრივ კურიკულუმებში;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების ვერიფიკაცია და მექანიზმი;
- გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- სკოლის ხელთ არსებული სასწავლო რესურსების ფოტომასალა;
- შეფასების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის საფეხურის შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი, განმსაზღვრელი);
- ისგ. ჯგუფის კრების ოქმი;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტის ფაილებით და ფოტო მასალებით, სადაც ასახულია კომპექსური დავალებების , პროექტების და სხვა აქტივობების ამსახველი კადრები, აქტივობების განხორციელებისას სკოლა იყენებს მათ ხელთ არსებულ ძირითად და დამხმარე რესურსებს. ასევე წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები, ანალიზი და რეფლექსიები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	**სამივე საფეხურზე** სკოლის მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო. მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებიდან, შეფასების რუბრიკებიდან, ჩანს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად.

	წარმოდგენილია, აგრეთვე, მოსწავლეთა ნაშრომები, რომლებიც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესში, საჭიროებიდან გამომდინარე, ხორციელდება კურიკულუმის მოდიფიცირება. სკოლაში ტარდება შემაჯამებელი სამუშაოები, ურთიერთდაკვირვება, რაც პროცესს ხდის უფრო მეტად შედეგზე ორიენტირებულს. კათედრა არაფორმალურ განათლებას მოიაზრებს ფორმალურთან მჭიდრო კავშირში. გეგმავენ სხვადასხვა ღონისძიებებს, ახორციელებენ პროექტებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი **სამუშაო სასწავლო გეგმებისა და კურიკულუმების** ანალიზით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სკოლის კურიკულუმს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ დაგეგმარება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სამიზნე ცნებებზე). გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო აქტივობები ლოგიკურ ჯაჭვშია კურიკულუმით განსაზღვრულ შინაარსთან, რაც უზრუნველყოფს ენობრივი კომპეტენციების ეტაპობრივ და სისტემურ განვითარებას **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	**სამივე საფეხურზე** სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტების მიხედვით ძირითადად მუსიკის საგანში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მიხედვით ესგ და საგნის სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლის დოკუმენტებით და მასწავლებელთ ინტერვიურებისასაც გამოიკვეთა რომ კურიკულუმის განხორციელების შემდეგ ხდება ანალიზი და შედეგების განხილვა, რათა მომავალი პროგრამების შექმნის დროს მოხდეს მისი გათვალისწინება, რაც შეემიემართხება საშუალო საფეხურის კურიკულუმს მუსიკის კურიკულუმს ახლავს განხორციელების ეტაპები, შეფასებები და მოსწავლეთა ნამუშევრები. ხოლო ხელოვნების სავალდებულო პროექტის კურიკულუმში მხოლოდ ერთი თემაა წარმოდგენილი, დანარჩენი თემები არ შეესაბამება შესასწავლ საკითხებს და პროექტებს, სავარაუდოდ ეს ტექნიკური პრობლემაა რადგან მასწავლებელს მისი შექმნისას გამოყენებული აქვს მეექვსე კლასის კურიკულუმის ჩარჩო, თემების დასახელებაც და სხვა

	სტრუქტურული ერთეულებიც ეკუთვნის მეექვსე კლასში შესასწავლ პროგრამას სასურველია მისი გასწორება მოხდეს რეკომენდაციებისა და რჩევების მიხედვით. დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმები გადმოიგზავნა ჩასწორებული ინტერვიუს შემდეგ, შემოწმების და შესწავლის შემდეგ ხელოვნების საგანში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მიხედვით ესგ და საგნის სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. პედაგოგები ასწავლიან იმ თემებსა და საკითხებს, რომლებიც კურიკულუმებშია მოცემული, ცდილობენ კონკრეტული შუალედური მიზნებით გავიდნენ გრძელვადიან მიზანზე და მიაღწიონ საფეხურის შედეგს. ცხადია, იყენებენ კურიკულუმებში წარმოდგენილ ძირითად და დამხმარე რესურსებს. ვიანაიდან პროცესი ცოცხალია, რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული კურიკულუმებში მცირე ცვლილებების შეტანაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტების და მასწავლებლებთნ ინტერვიუს თანახმად გამოიკვეთა , რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში, პედაგოგების მიერ გაწერილია ის სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლის ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით. კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში აწყობენ შიდასასკოლო ფესტივალებს, ხოლო სკოლის გარე, არაფორმალური განათლების მიმართულებით აქტივობებში, როგორც გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, შედარებით ნაკლები აქტიურობით მონაწილეობენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუ ადასტურებს, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება შემუშავებული კურიკულუმების შესაბამისად. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას და განხორციელებისას ეყრდნობიან სამიზნე ცნებებს, სასწავლო მიზნებს, რომელიც წარმოდგენილია შემოქმედებითი დავალებების სახით. ეს ყოველივე ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა,ქართული,ბუნება) სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად, მიემართება გრძელვადიან მიზნებზე, კონკრეტულად კი სტანდარტით მისაღწევ შედეგებზე, სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. პედაგოგებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ სასწავლო პროცესის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება უნიკალურია და შესაბამისად გეგმავენ ცვლილებები შეიტანონ და უფრო მოქნილი გახადონ კურიკულუმები. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, დოკუმენტაციის და პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლაში მოქმედი რემედიაციის პროგრამა ადასტურებს, რომ დაწესებულება მოქნილად რეაგირებს მოსწავლეთა შემხვედრ საჭიროებებზე. დოკუმენტით განსაზღვრული მექანიზმები საშუალებას იძლევა, სწავლის პროცესში სირთულეების გამოკვეთისთანავე, სკოლამ განახორციელოს მიზნობრივი და დროული ინტერვენცია. მოქნილობა ვლინდება დიაგნოსტირების მრავალფეროვან ინსტრუმენტებში, შერჩევის მრავალმხრივ კრიტერიუმებსა (აკადემიური ჩამორჩენა, დაბალი მოტივაცია, გაცდენები) და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ მოკლევადიან სასწავლო გეგმებში. პროგრამის ფარგლებში დანერგილი შუალედური მონიტორინგი და მხარეთა (მასწავლებელი, მშობელი, ფსიქოლოგი) აქტიური კომუნიკაცია უზრუნველყოფს სწავლის სტრატეგიების მუდმივ ადაპტირებას მოსწავლის პროგრესის შესაბამისად.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან იკვეთება, რომ სკოლის პედაგოგებს სწორად აქვთ გააზრებული მოსწავლეთა შეფასების თავისებურებები, შეფასების რუბრიკებში ასახულია რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. რათა უზრუნველყოფილი იქნას თანაბარი სამართლიანობა ყველა მოსწვალის მიმართ, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მასწავლებელთა მიერ შეფასების პროცესი მოიაზრება სასწავლო პროცესის ნაწილად და ორიენტირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერაზე. შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. პედაგოგები მოსწავლეთა ცოდნის შესაფასებლად იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების როგორც ზოგად, ასევე კონკრეტული შემოქმედებითი დავალებისთვის შექმნილ რუბრიკებს, რომლებიც კათედრაზე, ერთობლივი თანამშრომლობით არის შექმნილი. მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალებები და დეტალურად გაწერილი შეფასების სქემები გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ გაზიარებული შეფასების განმსაზღვრელი განმავითარებელი რუბრიკების ნიმუშები ატარებს ზოგად ხასიათს და მკაფიოდ არ ახდენს განსაზღვრული კონკრეტული თემის შეფასებას. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ გააზრებული და იყენებენ კიდეც თემის მისაღწევი შედეგების შესაბამის განმავითარებელ შეფასებებს. თუმცა, უცხოური ენების ნაწილში სისტემის ვალიდურობისა და ობიექტურობის კიდევ უფრო გასაძლიერებლად გაიცემა **რჩევა:**

	სასურველია კათედრამ მოახდინოს რუბრიკების დეტალიზაცია, რათა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება პირდაპირ და მკაფიოდ ეფუძნებოდეს კონკრეტულ სამიზნე ცნებებსა და თემის მისაღწევ შედეგებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	**სამივე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო და საშუალო)** სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტებში, საგნობრივ პროგრამებში და შეფასების რუბრიკებში ჩანს რომ შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, სწავლის ხარისხის გაუმჯობესება და მუდმივი მონიტორინგი. სკოლის შეფასების სისტემა ყველა საფეხურზე მოიცავს როგორც განმავითარებელ ისე განმსაზღვრელ შეფასებას, რომლის მიზანია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენა და მათ განვითარებაზე დაკვირვება, ამისათვის სკოლას გამოყენებული აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ფორმები. რომლის შესახებ ინფორმირებული არიან სკოლა, მოსწავლე და მშობელი. საბოლოოდ კი მასწავლებლები წლიურ და სემესტრულ ანგარიშებში ასახავენ მოსწავლეთა შედეგებს **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ამის დასტურია სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე განხორციელებული კომპლექსური ბუნების დავალებების შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით შექმნილი შეფასების რუბრიკები. ამ ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისობას ადასტურებს სახელმწიფო ენის პედაგოგთა ინტერვიუც, რომლის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ნებისმიერი დავალების, წერის, თუ ზეპირი გამოკითხვის წინ მოსწავლეებს დეტალურად აცნობენ შეფასების კრიტერიუმებს, დაინტერესების შემთხვევაში კი მასწავლებლების მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების სისტემის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდება მშობელსაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმების და შემაჯამებელი დავალებების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, რომელნიც შემუშავებულია ესგ ს მოთხოვნების გათვალისწინებით და საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით. შესაბამისად შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით და გასაუბრებიდან მიღებული ინფორმაციით მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. მასწავლებელი აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. ეს ყველაფერი იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა,ქართული,ბუნება) მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკებით. სკოლაში შემუშავებულია და დამტკიცებულია შეფასების ვერიფიკაციის წესი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა შეფასების დაგეგმვის, განხორციელების პროცესისა და მტკიცებულებების შემოწმებასა და დასკვნის შემუშავებას. ვერიფიკაციის წესის მიხედვით შეფასება ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალეობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას.დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა,ქართული,ბუნება), საგნობრივ კათედრებზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. კათედრებზე აქტიურად ხდება მასწავლებლებს შორის სასწავლო რესურსების ვალიდურობის გაზომვა, მისი მოდიფიცირება და განახლება.

	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. სკოლაში არსებობს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს ინფორმაციას: შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმების, მიზანის და ამოცანების, პრინციპების, მიმართულებების, შეფასების სისტემის, ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირების და განხორციელების სიხშირეს შესახებ. წარმოდგენილი „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმების“ დოკუმენტის შესწავლისას სკოლას ეძლევა რჩევა: „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის“ დოკუმენტში სრულყოფილების მიზნით გაჩნდეს ჩანაწერი/მუხლი ვერიფიკაციის დასკვნის შესახებ, სადაც გაწერილი იქნება უნიფიცირებული (ერთიანი) დასკვნის ფორმა (დანართის სახით), ფორმაში მითითებული იქნება დოკუმენტის სათაური, რომელი საგნის და კლასის ვერიფიკაცია განხორციელდება, ვერიფიკატორების სახელები, გვარები და სხვა ინფორმაცია, ამის გარდა ამავე მუხლში უნდა იყოს ჩანაწერი იმის თაობაზე, თუ რა პროცედურები ხორციელდება იმ შემთხვევაში, როცა ვერიფიკაციის გადაწყვეტილება იქნება ნაწილობრივი ან შეუსაბამო, ვის დაევალება საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენა, ანგარიშგება რეკომენდაციების შესრულების შესახებ, მისი შესრულების მონიტორინგი. სასურველია, ვერიფიკაციის პროცესში ჩართული იყოს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის წამომადგენელი . **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სსიპ ქალაქ თბილისის N168 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 15 იანვრის N 2-14 ბრძანებით სკოლაში დამტკიცებულია ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ვალიდურობას, გამჭვირვალობას,სანდოობას,ობიექტურობას და სამართლიანობას. ამ დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში ვერიფიკაცია მიმდინარეობს სამი მიმართულებით :

1) შემაჯამებელი დავალების და სკოლაში ჩატარებული ყველა ტიპის გამოცდისთვის შედგენილი ინსტრუმენტის, სკოლაში შექმნილი და/ან ადაპტირებული კომპლექსური დავალებების პირობების ვერიფიკაცია;

2)შემაჯამებელი დავალებების/გამოცდების ჩატარების /მოსწავლის მიერ კომპლექსური დავალების წარდგენის პროცესის ვერიფიკაცია;

3)შემაჯამებელი დავალებების, სკოლაში გამართული გამოცდების, კომპლექსური დავალებების შედეგების/მტკიცებულებების ვერიფიკაცია. მოსწავლეთა სემესტრული და წლიური ქულების ვერიფიკაცია.

დოკუმენტში, ასევე ,წარმოდგენილია ინფორმაცია სკოლაში ვერიფიკაციის პრინციპების, მიზნების და შეფასების სისტემის შესახებ .**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლაში მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა ხდება 3 წლის განმავლობაში. აღნიშნულის შესახებ სკოლას ჩანაწერიც აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის დანართებში,კონკრეტულად კი საფეხურის კურიკულუმებში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის სამომედო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- სსსმ მოსწავლეთა მოდიფიცირებული დავალებების ნიმუშები;
- სსსმ მოსწავლეთა სწავლებაზე შიდა მონიტორინგის დასკვნა;
- შემაჯამებელი წერის ანალიზის ფორმა;
- შემოქმედებითი დავალებების დამადასტურებელი ნიმუშები;
- განმსაზღვრელი და განმავითერებელი შეფასების რუბრიკები;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების რეფლექსიის ოქმი;
- ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსიის ფორმა;
- სავალდებულო პროექტების რეფლექსია;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

- პროექტები;
- კომპლექსური ტიპის დავალებები;
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტის ამსახველი მასალები;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუშები;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	აქტივობების განხორციელებისას სკოლა იყენებს მათ ხელთ არსებულ ძირითად და დამხმარე რესურსებს. რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტის ფაილებით და ფოტო მასალებით, სადაც ასახულია კომპექსური დავალებების , პროექტების და სხვა აქტივობების ამსახველი კადრები, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად გამოიყენება ციფრული რესურსები, სკოლაში არსებული მატერიალური რესურსები (დამატებითი ლიტერატურა, რუკები, გლობუსები, სქემები, ფოტომასალა, პლაკატები), უზრუნველყოფილია ინტერნეტზე წვდომა, რესურსები მოსწავლეთათვის თანაბრად ხელმისაწვდომია. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვეა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი **დოკუმენტაციის (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერილობა, ბიბლიოთეკის ფონდი და ელექტრონული რესურსების ბაზა/ლინკები)** შესწავლით დგინდება, რომ

	სასწავლო რესურსები შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები (ძირითადი რესურსი), ისე მრავალფეროვანი დამხმარე მასალები: • **ავთენტური მასალები:** უცხოენოვანი სტატიები, ვიდეო რგოლები, რაც ხელს უწყობს ენის რეალურ კონტექსტში აღქმას. • **ციფრული ინსტრუმენტები:** მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ინტერაქციული პლატფორმები (მაგ: Quizlet, Kahoot, LearningApps) ინტეგრირებულია გაკვეთილის სხვადასხვა ეტაპზე. • **ვიზუალური და თვალსაჩინო მასალა:** დადასტურდა, რომ დაბალ საფეხურებზე (პრაიმერი) აქტიურად გამოიყენება ფლეშ-ბარათები, პოსტერები და ილუსტრირებული საკითხავი მასალა. ინტერვიუებისას ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ წვდომა საჭირო ტექნიკურ აღჭურვილობაზე (პროექტორი, კომპიუტერი, ინტერნეტი), რაც მათ საშუალებას აძლევს, კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობები განახორციელონ შეუფერხებლად. სკოლის მიერ რესურსების მუდმივი განახლება და მასწავლებელთა მხრიდან მათი მიზნობრივი გამოყენება პირდაპირ აისახება მოსწავლეთა ჩართულობისა და ენობრივი კომპეტენციის ზრდაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	**სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო)** სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციებში თუ საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს რომ ძირითადი თუ დამხმარე რესურსები გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე ლიტერატურა, ელ. რესურსები. მატერიალური თუ ფიზიკური რესურსები ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია , თუ სხვა თანაბრად არის ხელმისაწვდომი ყველა მოსწავლისა თუ მასწავლებლისთვის, ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ თითოეულ კაბინეტზე გამოკრულია მათი სარგებლობის წესები და განრიგი, რომლის მიხედვითაც ხდება მათი გამოყენება სკოლის მიერ დამატებით რესურსებად გამოიყენება ტვ სკოლის გაკვეთილები, ხანის აკადემია, საშინაო სკოლა, სსმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული სახელმძრვანელოები და

	ბარათები, ი;ლუსტრაციები. ცანს რომ სკოლაში არსებული ყველანაირი რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში და ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლის თუ მასწავლებლისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში წარმოდგენილი კურიკულუმები, ასევე ინტერვიუს დროს პედაგოგთა გამოკითხვა ადასტურებს იმას, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები ნამდვილად გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	პედაგოგებთან გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ისინი სასწავლო პროცესში იყენებენ კურიკულუმით გაწერილ რესურსებს: მატერიალურს რესურსს - არსებულ ინფრასტრუქტურას და სპორტულ ინვენტარს, ძირითად რესურსს- გზამკვლევებს მასწავლებლისათვის, პრეზენტაციებს თეორიისათვის და დამხმარე ინტერნეტ რესურსს-ვიდეორგოლებს ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებითა და ვარჯიშების ტექნიკის ელემეტებით. პედაგოგები ცდილობენ არსებული ინფრასტრუქტურის პირობებში, სააწავლო პროცესი მოსწავლეებისათვის იყოს მრავალფეროვანი და საინტერესო. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ფორმაში წარმოდგენილია როგორც ძირითადი ასევე დამხმარე რესურსები. დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსია **school.emis.ge**

	და ასევე სხვა ელექტრონული პლატფორმები(**Scratch.mit.edu, Code.org** ა.შ). რაც ასევე აღინიშნა გასაუბრებისას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ გამოყენებული **დაწყებითი საფეხურის** ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები შეესაბამება და ხელს შეუწყობს მოსწავლეებს მასალის გააზრებაში. კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც უზრუნველყოფს საფეხურების ფარგლებში სტანდარტებით განსაზღვრული მიზნების და შედეგების მიღწევას. ძირითადი სასწავლო რესურსი კანონმდებლობით დადგენილი წესით გრიფირებულია. მიუხედავად ამისა, კურიკულუმების ნაწილი დამატებით ითხოვს რესურების შევსებას და მის გამრავალფეროვნებას, მაგალითად, ასახული უნდა იყოს ბეჭდური და ელექტრონული წყაროები, ვიდეო და ფოტო მასალები, სადემონსტრაციო ვიდეო ექსპერიმენტი, საგანმანათლებლო პლატფორმების რესურსები / ინტერაქტიული სიმულაციები რესურსები, სპეციალურად შექმნილი მასწავლებლების რესურსები, მაგალითად, პრეზინტაციები, მოკლე თემატური რიდერები, სპეციალურად შექმნილი დიდაქტიკური მასალები (ცხრილები, გრაფიკული ხელსაწყოები), მეთოდური მითითებები, პრაქტიკული ან ლაბორატორიული სამუშაოების თანდართული დოკუმენტები (პროტოკოლები, ინსტრუქციები) და ა.შ. აქიდან გამომდინარე **სკოლას ეძლევა რჩევა:** **დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები შეივსოს მრავალფეროვანი დამატებითი რესურსებით, მაგალითად, კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები, საგანმანათლებლო პლატფორმის სიმულაციები, მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსები და სხვა, აგრეთვე, განიხილონ რესურსების ბიბლიოგრაფიული გაფორმების ერთიანი მიდგომა.** **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დამხმარე სასწავლო რესურსი რომელსაც სკოლა იყენებს კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობის განხორციელებისას შეესაბამება ესგ-თი გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. მისი შინაარსი, დიზაინი ან სხვა რაიმე ნიშანი არ შეიცავს დისკრიმინაციულ ან/და დისკრედიტაციულ (მათ შორის, ენის, ეროვნების, სქესის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების და სხვა ხასიათის) ელემენტებს. ან რაიმე ნიშნით არ იწვევს სასწავლო პროცესისათვის ხელის შეშლას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დამხმარე რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე, გათვალისწინებულია ცალკეული საგნების საჭიროება და მოსწავლეთა ინტერესები, გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა საჭიროება. კათედრაზე რესურსები მოწმდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ისინი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს ხარისხის ამაღლებასა და თანმიმდევრულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	გამოყენებული რესურსები გადის ვალიდაციას კათედრებზე, რათა შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ასაკს, ინტერესებსა და სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	**სამივე საფეხურის** სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციიდან ჩანს რომ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები ძირითადი რესურსია და შეთანხმებულია სამინისტროსთან. დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები და მათ შორის ელექტრონული რესურსები, თვალსაჩინოებები, რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვა განხილულია საგნობრივ კათედრებზე და შეთანხმებულია სასკოლო საზოგადოებასთან, მათ შორის სსმ მოსწავლეთათვის შერჩეული რესურსები და თვალსაჩინოებები, რომელიც სწავლის დასაწყისში საგნობრივ კათედრებზე განიხილეს შეატანხმეს სკოლის ადმინისტრაციასთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენებაგანხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან,სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას ახორციელებს მათემატიკის კათედრა **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	გასაუბრებისას აღმოჩნდა და კათედრის ოქმებიც ადასტურებს, რომ ისინი ახდენენ დამხამრე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსი ვალიდურია სასწავლო თემებისა და სამიზნე ცნებების მიმართულებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	სკოლა ახორციელებს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. დაწყებით საფეხურის კურიკულუმის დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი სასკოლო სასწავლო გეგმის (საგნობრივი კურიკულუმების) შემადგენელი ნაწილია. გასაუბრებისას პედაგოგმა აღნიშნა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში იყენებს სხვადასხვა დამხმარე რესურსის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა,ქართული,ბუნება), საგნობრივ კათედრებზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე(დანართი 2) კათედრებზე აქტიურად ხდება მასწავლებლებს შორის სასწავლო რესურსების ვალიდურობის გაზომვა, მისი მოდიფიცირება და განახლება. დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. **დაწესებულებას ეძლევა რჩევა:**

	სკოლამ ან კათედრამ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შეიმუშაოს უკუკავშირის მექანიზმი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისგან დამატებითი რესურსების გამოყენების შესახებ, რათა მოხდეს პრობლემის დროულად იდენტიფიცირება და გაუმჯობესება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოების, ასევე დამატებითი. ფიზიკური თუ ციფრული რესურსების სახით. სკოლას აქვს ძველი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. სკოლამ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის შეიძინა: სადემოსტრაციო ცეცხლგამძლე მაგიდა და ლაბორატორიაში დაამონჟა გამწოვი კარადა ასევე შეიძინა ლაბორატორიისათვის საჭირო აღჭურვილობა: სინჯარები, კოლბები და ცდების ჩასტარებლად საჭირო სხვა რესურსები. სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია მეორე სტანდართან მიმართებით, კონკრეტულად ინდიკატორი 2.2.2.3 გაზიარებულია ექსპერტთა მიერ და შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში არსებული მატერიალური რესურსები უზრუნველყოფენ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ თითოეული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური რესურსი, საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, კომპიუტერებით, პროექტორით, ინტერნეტით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს,

	აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში, ხოლო პედაგოგებს უადვილებს მრავალფეროვანი და საინტერესო გაკვეთილების დაგეგმვასა და ჩატარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	სკოლა აღჭურვილია კომპიუტერული ლაბორატორიით, ბიბლიოთეკითა და საგაკვეთილო ინვენტარით, რაც სრულად შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობას **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	**სამივე საფეხურის** სკოლის მიერ წარმოგდენილი მტკიცებულებებიდან შესაძლებელია დავსკვნათ, რომ ორივე საგანში სასწავლო შედეგები და შემოქმედებითი პროცესები უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით, რომელიც მოსწავლეთ ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებითაა უზრუნველყოფილი. სკოლაში არსებული რესურსი ხელმისაწვდომია თითოეული მოსწავლისათვის სხვადასხვა ღონისძიებები, პროექტების, კონკურსებისა თუ სპორტული შეჯიბრებების დროს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ძირითადი მატერიალური რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელოები, მასწავლებლების მიერ შექმნილი მატერიალური და ციფრული რესურსები, ინტერნეტ-რესურსები) უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, რაც ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული მატერიალური რესურსით და ინვენტარით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლის **გარე მოედანი** არის კეთილმოწყობილი, თანამედროვე

	სტანდარტების, დაუზიანებელი ხელოვნური საფარით, ტრიბუნებითა და გარშემო შემოვლებული დამცავი ღობით. **შიდა სპორტული დარბაზი** საჭიროებს რეაბილიტაციას, კედლები და ჭერი ზოგიერთ ადგილზე საჭიროებს შებათქაშებას. კედლები და იატაკი საღებავის განახლებას. თუმცა დარბაზის ეს მდგომარეობა ნაკლებად არის მოსწავლეების ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საფრთხისშემცველი. **სკოლას აქვს შემდეგი სპორტული ინვენტარი:** ნიშნულები, დგარები, გადასახტომი ბარიერები, კეგლი, ბადმინტონი. სხვადასხვა სახეობის ბურთები: კალათბურთის ბურთი (2 ც) , ფეხბურთის ბურთი (2 ც), ფრენბურთის ბურთი (1 ც), ხელბურთის ბურთი (2 ც), რაგბის ბურთი (2 ც). **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები ტარდება ტექნოლოგიების ლაბორატორიაში. სკოლა ფლობს საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ფოტომასალით დასტურდება, რომ სკოლა აღჭურვილია კომპიუტერებით, პროექტორებით, რაც აადვილებს 21-ე საუკუნის უნარების განვითარებას მოსწავლეებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, შესაბამისი სასკოლო სივრცით, საკლასო ოთახები მოწესრიგებულია და სასკოლო აქტივობებისათვის აუცილებელი რესურსებით არის აღჭურვილი. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები.პედაგოგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში შესაძლებელია მარტივი ექსპერიმენტების ჩატარება, ასევე არის სადემონსტრაციო პლაკატები, მულაჟები და სხვა ვიზუალური საშუალებები. **დაწყებითი საფეხურის** მასწავლებლები გაკვეთილებზე იყენებენ ვირტუალური ლაბორატორიების საშუალებებს და ანხორციელებენ ვიდეო ექსპერიმენტების ჩანაწერებს, რაც უზრუნველყობს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ჰყავს კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს .სკოლას ჰყავს 31 უფროსი,6 წამყვანი, 2 უფროსი სპეციალური მასწავლებელი,6 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ასისტენტი,1 ფსიქოლოგი.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის სამომედო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- სსსმ მოსწავლეთა მოდიფიცირებული დავალებების ნიმუშები;
- სსსმ მოსწავლეთა სწავლებაზე შიდა მონიტორინგის დასკვნა;
- შემაჯამებელი წერის ანალიზის ფორმა;
- შემოქმედებითი დავალებების დამადასტურებელი ნიმუშები;
- განმსაზღვრელი და განმავითერებელი შეფასების რუბრიკები;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების რეფლექსიის ოქმი;
- ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსიის ფორმა;
- სავალდებულო პროექტების რეფლექსია;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- პროექტები;
- კომპლექსური ტიპის დავალებები;
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტის ამსახველი მასალები;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუშები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის მეთოდოლოგიის მიხედვით და სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა, რომ სკოლა მონიტორინგის საშუალებად იყენებს მასწავლებელთა ურთიერთდასწრებას, შესაბამის ანგარიშს, ასევე, მასწავლებელთა რეფლექსიებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

სკოლაში კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს პროცესში, ასევე, სკოლის მიერ გაზიარებული დოკუმენტაციის შესწავლისას, გამოიკვეთა რომ სკოლაში მიმდინარეობს სასწავლო პროცესზე დაკვირვება, წინა სასწავლო წლის შედეგების გაანალიზება, მასწავლებელთა ანგარიშების ანალიზი,მოსწავლეთა შეფასებების ანალიზი, უკუკავშირის მიღება და საჭიროებების დადგენა, ამის შემდეგ კი უკვე გამოვლენილი შედეგების გათვალისწინება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლაში კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე ,ასევე,სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას, გამოვლინდა ,რომ სკოლა მუდმივად ცდილობს გამოიკვლიოს საკუთარი გამოწვევები , იკვლევს თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილის შესაბამისად და მიღებული შედეგებიდან გამომდინარე იღებს შესაბამის ზომებს.მასწავლებლები მუდმივად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილზე, შემდეგ განიხილავენ უკუკავშირს. სკოლაში არსებობს ე.წ."კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი", რაც მათ ეხმარებათ გაუზიარონ ერთმანეთს არსებული გამოწვევების შესახებ ინფორმაცია და მიიღონ მხარდაჭერა კოლეგებისგან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- სკოლის მიერ წარმოდგენილი ანგარიში;
- ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტი.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასებისას აქცენტი კეთდება იმაზე თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილის შესაბამისად, და რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. იმისთვის, რომ აღნიშნული პროცესები განხორციელედეს სკოლაში, მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა მეთოდს.მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ ისინი კათედრის სხდომაზე განიხილავენ მოსწავლეთა სწავლა სწავლების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს, თუნდაც, მაგალითად რამდენად მიდის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად,ან რაც დაიგეგმა, რამდენად ეფექტური აღმოჩნდა.რამდენად გაართვეს მოსწავლეებმა თავი კონკრეტულ დავალებებს, და ა.შ. მსჯელობენ თუ როგორ ,რა ხერხით შეიძლება მოიპოვონ ინფორმაცია არსებულ გამოწვევებზე და შემდეგ როგორ გადაჭრან იგი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მათ შორის მოსწავლის მრავალმხრივი შესაძლებლობებისა და ინტერესების მიხედვით. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა ,რომ ისინი ითვალისწინებენ , რომ სკოლაში სწავლობენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები,და ისინი ითვალისწინებენ მოსწავლეთა სოციო-კულტურულ გარემოს, მასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და ა.შ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.

მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, გამოიკვეთა,რომ სკოლაში ხშირად ხდება მასწავლებეთა მიერ ურთერთდასწრება, კათედრის სხდომებზე მიმდინარეობს მოსწავლეთა შედეგების ანალიზი, სკოლა ახორციელებს სასკოლო საზოგადოების წევრთა გამოკითხვას და შემდეგ ხდება ,მათი უკუკავშირის და მიღებული შედეგების ანალიზი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა რომ სკოლაში მასწავლებლები აკეთებენ თვითრეფლექსიებს, ხდება ურთიერთდასწრება და ერთმანეთში განიხილავენ უკუკავშირს,ასევე, ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს, იკვლევენ სწავლა სწავლების პროცესში გამოკვეთილ საჭიროებებს, და მსჯელობენ ამ საჭიროებათა გადაჭრის გზებზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის სხდომის ოქმები;
- სკოლის მიერ წარმოდგენილი კვლევის ანგარიში;
- ისგ ჯგუფის ოქმები.შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის სტრუქტურაში მკაფიოდ ჩანს, რომ სკოლა სისტემურად აფასებს მიმდინარე სასწავლო პროცესს, იდენტიფიცირებს საჭიროებებს და ამ საჭიროებებზე რეაგირების მიზნით გეგმავს შესაბამის აქტივობებს. გეგმა მოიცავს როგორც კურიკულუმის რევიზიასა და მოდიფიცირებას, ასევე ახალი პროგრამების შემუშავებას, რემედიაციისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დანერგვას, შეფასების სისტემის გაუმჯობესებას და ვერიფიკაციის მექანიზმების დანერგვას. გარდა ამისა, დოკუმენტში ასახულია სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის (საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, ინკლუზიური განათლების ჯგუფი და სხვ.) მონაწილეობა საჭიროებათა იდენტიფიცირებასა და რეკომენდაციების შემუშავებაში. თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, შესრულების ვადები, საჭირო რესურსები და ინდიკატორები, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და ეფექტიან მონიტორინგს. სამოქმედო გეგმა ასევე ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, მშობელთა და მოსწავლეთა უკუკავშირის გამოყენებას, კვლევითი ინსტრუმენტების (კითხვარები, გამოკითხვები) დანერგვას და მიღებული შედეგების ანალიზს, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს რეკომენდაციების პაკეტის ჩამოყალიბებას კურიკულუმის შემდგომი განვითარებისა და მხარდაჭერისთვის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს . მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს ,რომ ისინი კათედრაზე განიხილავენ კურიკულუმთან დკაავშირებულ სხვადასხვა საკითხებს, მაგ.: მოსწავლეთათვის შეთავაზებულ დავალებებს, შეფასების ინსტრუმენტებს,გასახორციელებელ პროექტებს,სასწავლო რესურსებს,თემებს თუ საკითხებს, და იმას ,თუ რამდენად მიჰყავს ყოველივე აღნიშნულს სასურველ შედეგამდე/მიზნამდე მოსწავლე. სკოლამ ,ასევე ,წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც პედაგოგები წლის

განმავლობაში აგროვებენ მონაცემებს, და შედეგებს განიხილავენ კათედრის სხდომაზე, მიღებული წინარე გამოცდილების გათვალისწინებით კი შემდეგი სასწავლო წლისთვის წარმოადგენენ გადამუშავებულ კურიკულუმს .

რჩევა: სასურველია, სკოლამ მეთოდოლოგიის დოკუმენტში უფრო მკაფიოდ წარმოაჩინოს სასკოლო საზოგადოების წევრების მაგალითზე (მაგ.: მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი,ადმინისტრაცია) როგორ ხდება კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დადასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
- კათედრის სხდომის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი 5.05.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: